საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 211 (1013) | შაბათი, 17 დეკემბერი, 1994 წელი | ფასი 250.000 კუპონი

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

უდიდესი სიამოვნებით მივიღე მეგობრული მილოცვა და ისეთივე სურვილები, რომლებიც თქვენ 1994 წლის მშვიდობის ნობელის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით გამომიგზავნეთ.

ჭეშმარიტად, ამ პრემიას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი ამკვიდრებს პატივისცემას და მომავლისადმი იმედს პალესტინელ ხალხში, იძლევა მშვიდობის მტკიცე გარანტიას ჩვენი მომავალი თაობისათვის, რათა მათ იცხოვრონ დამოუკიდებლად და მშვიდობიანად.

ჭეშმარიტად, სამართლიანობაზე დამყარებულ მშვიდობას შეუძლია იმ ხალხების ერთად ცხოვრება, რომლებიც ამ რეგიონში სახლობენ. მათი უფლებების, უსაფრთხოების და მომავლის გარანტია მთლიანი მშვიდობა შეიძლება იყოს.

ისრაელის ოკუპაციის შეწყვეტა წმინდა მიწაზე, თვითგამორკვევა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა და მისი დედაქალაქად წმინდა ქალაქის იერუსალიმის გამოცხადება, არის სამართლიანი მოლაპარაკების განხორციელების მცდელობა.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით და გამოვთქვამ ყველა ჩვენი მშვიდობისმოყვარე მეგობრის მხარდაჭერის იმედს.

ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთსასარგებლო კავშირების დამყარება, პალესტინის ხალხის ეკონომიკის, კულტურის აღორძინება, ჩვენი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების ისტორიული შესაძლებლობაა, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობის განხორციელებას.

მშვიდობა მთელ პლანეტაზე, აი, რისკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა, რაც საშუალებას მოგვცემს, ვაშენოთ ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

იასირ არაფატი,

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, პალესტინის ეროვნული ხელისუფლების მეთაური.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს

ბატონო პრეზიდენტო,

თქვენს მიერ 1994 წლის 2 აგვისტოს წერილში სურვილი გამოთქვით, ქუთაისის სრულიად საქართველოს დედაქალაქად გამოცხადების ათასწლოვანი იუბილე საზეიმოდ აღინიშნოს იუნესკოს ეგიდით და გულითადადაც მეპატიჟებით ამ მოვლენასთან დაკავშირებით, 1995 წლის ოქტომბერში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

სიამოვნებით ვიღებ მოწვევას, იუნესკოს ეგიდით ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავ ზეიმში, რომლის უდიდეს კულტურულ, ისტორიულ მნიშვნელობას მე დიდად ვაფასებ.

გულწრფელი პატივისცემით,

„იუნესკოს" გენერალური დირექტორი,

ფედერიკო მაიორი.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ბერტრან დიუფურგი

15 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბერტრან დიუფურგი.

ბატონმა დიუფურგმა სახელმწიფოს მეთაურს საფრანგეთის პრეზიდენტისა და ფრანგი ხალხის საუკეთესო სურვილები და მეგობრული სალამი გადასცა. მან განაცხადა, რომ საქართველოში მისი ვიზიტის მიზანია ხელი შეუწყოს ორ ქვეყანას შორის არსებული კეთილმოსურნე დამოკიდებულებისა და ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებასა და განვითარებას, გენერალურმა მდივანმა გამოხატა სურვილი პირადად გაეცნოს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, ქართველ კოლეგებთან ერთად დასახოს გზები, შეიმუშაოს მეთოდები, რომლებიც საფუძვლად დაედება საქართველოსა და საფრანგეთს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას ნებისმიერ სფეროში.

სტუმარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ საფრანგეთი გამოხატავს დიდ ინტერესს საქართველოს მიმართ და მხარს უჭერს მისი ხელისუფლების ძალისხმევას ჩვენი ქვეყნისათვის ამ ურთულეს პირობებში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში. საფრანგეთი ყოველთვის აქტიურად უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს, აღნიშნა სტუმარმა, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის პრინციპს. ამ პრინციპის დაცვა, განაცხადა გენერალურმა მდივანმა, ევროპისა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის საერთო ინტერესების გამოხატულება უნდა იყოს.

ბატონი დიუფურგი დაინტერესდა აგრეთვე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტების მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით მოგვარების საკითხებით, ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებით.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა სტუმარს იმ პოზიციისათვის, რომელსაც საფრანგეთის ხელისუფლება გამოხატავს საქართველოს მიმართ და აღნიშნა, რომ მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერის გარეშე საქართველოს გაუძნელდებოდა ამ ურთულესი სიტუაციიდან თავის დაღწევა, აგრეთვე იმ დახმარებისათვის, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, მსოფლიო ბანკმა და ევროთათბირმა გაუწიეს ჩვენს ქვეყანას, რაშიც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საფრანგეთმა.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ისაუბრა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე და აღნიშნა, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი დიდი სიძნელეების მიუხედავად, იგი მაინც დაადგა აღმშენებლობის გზას, სერიოზული ძვრებია ეკონომიკური სტრუქტურების გაუმჯობესების საკითხში; დამთავრდა მუშაობა და უახლოეს მომავალში განიხილება საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ დღეს საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნება მშობლიურ მიწაზე. ამასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ ხაზი გაუსვა, რომ რაც მეტ დაინტერესებას გამოიჩენენ ამ საკითხისადმი საერთაშორისო ორგანიზაციები, მით უფრო სწრაფად მოგვარდება ეს პრობლემა; რაც შეეხება ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებს, იგი უკვე შედის მშვიდობიანი გადაწყვეტის ფაზაში.

შეხვედრის დასასრულს მხარეებმა გამოთქვეს ღრმა რწმენა, რომ დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე დამდგარი საქართველო შეძლებს თავი დააღწიოს შექმნილ კრიზისს და აქტიურად ითანამშრომლოს მეგობარ ქვეყნებთან.

პარლამენტის პლენარულ სხდომებზე

საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 20-21-22-23 დეკემბრის პლენარულ სხდომებზე განიხილავენ 24 საკითხს.

მოისმენენ საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, რესპუბლიკის [illegible] პროკურატურის, კონტროლის პალატის, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელების ინფორმაციებს, განიხილავენ საკითხებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურული სრულყოფის, საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის ბიუჯეტის შესახებ და სხვა.

უეფა გამოჯანმრთელებას უსურვებს

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უკვე იუწყებოდნენ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ტერაქტის შემდეგ მძიმე მდგომარეობაშია თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში.

ამას წინათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ბატონ ნოდარ ახალკაცის სახელზე მოვიდა უეფას აღმასრულებელი ევროპის ბიუროს დახმარების გენერალური მენეჯერის ბატონ ერიკ ულეს წერილი, მასში ნათქვამია:

„ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო,

ძალიან შევწუხდით, როცა გავიგეთ თქვენი ჰოსპიტალიზაციის ამბავი. უეფას სახელით, გულწრფელად გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას. მტკიცედ გვწამს, რომ მოკლე ხანში, შეუდგებით ყოველდღიურ საქმიანობას და გააგრძელებთ ჩვენთან ნაყოფიერ თანამშრომლობას.

გულწრფელად გვსურს, რომ ის ენერგია და მორალური ძალა, რომელიც მოახმარეთ თქვენს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების საქმეს, დაგეხმაროთ ამ ავადმყოფობის დაძლევაში.

ყველანი თანადგომას გიცხადებთ და ველით ახალ ამბებს.

საუკეთესო სურვილებით,

უეფას აღმასრულებელი ევროპის ბიუროს დახმარების გენერალური მენეჯერი

ერიკ ულე".

უხეში პროვოკაცია, სინამდვილის შეგნებული დამახინჯება!

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნის განცხადება

საინფორმაციო პროგრამა „ნოვოსტმა" 14 დეკემბრის გამოშვებაში გადასცა ცნობა იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი სამხედრო საფრთხის მიზეზით აფხაზეთის შეიარაღებული ძალები მოყვანილნი არიან სრულ საბრძოლო მზადყოფნაში.

განიხილავს რა აფხაზეთის მხრიდან მსგავსი მოარული ჭორების გავრცელებას, როგორც უხეშ პროვოკაციას, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ამგვარი დეზინფორმაცია სამხედრო საფრთხის შესახებ, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკა, როგორც არაერთხელ ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლებში, მომხრეა აფხაზეთის ტერიტორიაზე კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკური, მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისა.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ მსგავსი სახელდახელოდ შეთხზული ცილისმწამებლური ვერსია განხილულ უნდა იქნას, როგორც ფაქტების შეგნებული დამახინჯება, რადგანაც აფხაზეთში სრული საბრძოლო მზადყოფნა გამოცხადდა ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და არა ენგურის მხრიდან არარსებული საფრთხის გამო.

აფხაზი სეპარატისტები არ მალავენ თავიანთ პოზიციას ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, მაგრამ ასეთი თვალსაზრისი არ გამოხატავს აფხაზეთიდან დევნილი მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობის პოზიციას, თუმცაღა ისტორია ყოფილა მოწმე შემთხვევებისა, როცა აგრესიული სეპარატიზმის პოლიტიკა კრახით მთავრდებოდა. ასე იქნება ამჯერადაც და აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის მონაწილეთა ყველა სამშვიდობო ძალისხმევა, ბოლოს და ბოლოს, წარმატებით დაგვირგვინდება.

მალე დადგება სამართლიანობის აღდგენის ჟამი!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება შეშფოთებით ადევნებს თვალყურს ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესებს, სადაც აგრესიული სეპარატიზმის, ტერიტორიული განკერძოებისა და საერთაშორისო სამართლით აღიარებული საზღვრების გადაკეთებისათვის, ავანტიურისტთა მიერ გაჩაღებულ სისხლისღვრას ეწირებიან უდანაშაულო ადამიანები, იღვრება სისხლი.

ჩეჩნეთის მოვლენებმა საბოლოოდ გამოაშკარავა გუდაუთელ სეპარატისტთა პოლიტიკური ამბიციების მასშტაბები, აფხაზეთის ტრაგედიის მქეზავი [illegible], აშკარა და ფარული მხარდამჭერები, ქართველთა, თვით აფხაზთა და სხვა ხალხების წარმომადგენელთა, გენოციდისა და ტანჯვა-წამების სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები.

ცხადია, რომ აფხაზეთში შეთქმულების ავტორთა ალიანსი დაუფარავად აფართოებს მოქმედების არეალს, მორიგი მსხვერპლია ჩეჩნეთი. აფხაზეთში ნაცადმა სეპარატიზმმა უბედურება დაატეხა თავს საქართველოს ისტორიულ მეზობელსა და მეგობარ მამაც ჩეჩენ ხალხს, ჩეჩნეთში მცხოვრებ სხვა ხალხებს, კავკასია დიდი ომის საფრთხის წინაშე დააყენა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობას ერთმნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ჩეჩნეთის მოვლენებთან დაკავშირებით, აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლების განცხადება, რომელშიც ეჭვქვეშ დგება რუსეთის ფედერაციის კანონიერი უფლება აღადგინოს კონსტიტუციური წესრიგი და კანონი მის ტერიტორიაზე, ეგრეთ წოდებულ მოხალისეთა გაწვევა, შეიარაღება და გაგზავნა ჩეჩნეთში, არის გუდაუთის სისხლიანი სეპარატისტების მორიგი თავხედობა და თვითნებობა. მას არაფერი აქვს საერთო აფხაზეთის მოსახლეობის ჭეშმარიტ მიზნებთან და ინტერესებთან, რომელთა უმეტესი ნაწილი განდევნილია მშობლიური მიწა-წყლიდან.

სეპარატისტთა ვერაგობისა და მზაკვრული ჩანაფიქრის დასტურია აგრეთვე, მორიგი ბლეფი, თითქოსდა ენგურის ნაპირებთან საქართველოს შეიარაღებული ძალების კონცენტრაციისა და ამა წლის 25 დეკემბრისათვის აფხაზეთში საომარი ოპერაციის დაწყების შესახებ. ამით გუდაუთის ხელისუფლება ცდილობს კვლავ მოატყუოს საზოგადოებრივი აზრი, უწინარესად დააშინოს, აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობა, ჩაახშოს სულ უფრო მზარდი წინააღმდეგობის მოძრაობა.

არავის ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს, რომ საქართველოს ხელისუფლება განუხრელად ახორციელებს გაეროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით მიღწეულ შეთანხმებებსა და ვალდებულებებს, ურყევად ერთგულია აფხაზეთში კონფლიქტის პოლიტიკური, ცივილიზებული საშუალებებით გადაწყვეტისათვის აღებულ კურსს.

აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ გაცხადებულ სახელმწიფო პოლიტიკას, როგორც საერთოდ, ისე ჩეჩნეთთან დაკავშირებით და ვგმობთ აგრესიული სეპარატიზმის იდეოლოგიასა და პრაქტიკას, რომელმაც უდიდესი უბედურება დაატეხა თავს აფხაზეთის მოსახლეობას და კვლავაც მძიმე განსაცდელს უმზადებს მეზობელ და მოძმე ხალხებსა და სახელმწიფოებს.

გვჯერა, რომ სეპარატიზმი და თვითნებობა, პოლიტიკური ავანტიურიზმი აგონიაშია და ბოლო დღეებს ითვლის, მალე დადგება სამართლიანობის აღდგენის ჟამი!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო

მეორე სვეტი

სეპარატისტები დუდაევს დამატებით დახმარებას ვერ უგზავნიან

ბოლო დღეებში, აფხაზ სეპარატისტთა საინფორმაციო სამსახურებმა რამდენჯერმე გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზურ ხელმძღვანელობას არა აქვს საშუალება და შესაძლებლობა დამატებითი ცოცხალი ძალა გაგზავნოს ჩეჩნეთში ჯოხარ დუდაევის დასახმარებლად.

ამის მიზეზად და საბაბად სოხუმის რადიო აცხადებს იმას, რომ ვითომ ენგურთან ახლოს ხდება ქართული შეიარაღებული ფორმირებების კონცენტრაცია. რასაკვირველია, სეპარატისტთა ეს „განმარტება" ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ ამით აფხაზური მხარე ცდილობს „ორი კურდღელი" დაიჭიროს: ჯერ ერთი — გაამართლოს და დაუმტკიცოს თავის მეგობარს დუდაევს, რომ არა აქვს საშუალება მას მეტი დახმარება გაუწიოს, და მეორე — შექმნას ფსიქოზი ქართველებისა და საქართველოს მიმართ და მოადუნოს აფხაზეთის მოსახლეობის ყურადღება იმ პრობლემებისადმი, რომლებიც ახლა მათ აწუხებთ.

დაბოლოს, ეტყობა, არძინბას მის ამასწინ მოსკოვში ყოფნის დროს, გარკვეულ წრეებში აუხსნეს, რომ აფხაზებმა უნდა შეწყვიტონ დუდაევის დახმარება. მანამდე კი დეკემბრის დამდეგს, საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ აფხაზ ბოევიკთა რამდენიმე ჯგუფი იბრძვის ჩეჩნეთში დუდაევის მხარეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სოხუმის რადიოს მონაცემებით, სეპარატისტებმა მიიღეს გადაწყვეტილება — ერთი თვით შეწყვიტონ ლტოლვილების დაბრუნება გალის რაიონში. საბაბი იგივეა — ვითომ ქართველი შეიარაღებული ფორმირებების კონცენტრაცია ენგურთან.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახურის ცნობა

სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსული მრავალრიცხოვანი შეკითხვის პასუხად, თუ როგორ აფასებს ე. შევარდნაძე ჩეჩნეთთან დაკავშირებულ მოვლენებს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახურმა გაავრცელა შემდეგი ცნობა:

ჩეჩნეთთან დაკავშირებით ხდება ის, რის შესახებაც სახელმწიფოს მეთაურმა ჯერ კიდევ სოხუმის დაცემამდე, 1993 წლის დასაწყისში არაერთხელ განუცხადა ჟურნალისტებს. მისი გამოსვლების მთავარი არსი ის იყო, რომ იქ დატრიალებული ტრაგედია, ბუმერანგივით დაუბრუნდება ყველას, ვისაც სინდისზეც არის აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის გენოციდი, ეთნოწმენდა. ამავე დროს, ე. შევარდნაძემ პრეზიდენტ ბ. ელცინის ცნობილი მიმართვის გამოქვეყნებისთანავე ჟურნალისტებთან საუბარში თქვა, რომ რუსეთს შენახული მოქმედების სხვა ვარიანტი არ გააჩნია, რომ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას საარსებო მნიშვნელობა აქვს რუსეთის სახელმწიფოსათვის, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებისათვის.

ამ დღეებში

გამომცემლობა
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და [illegible]
[illegible]

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

კულუარები

ჩვენს მკითხველებს უკვე ვაცნობეთ, რომ მოსკოვში, პრეზიდენტ-ოტელის საკონფერენციო დარბაზში 9 დეკემბერს გაიმართა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომა. ჩვენი ქვეყნის დელეგაციას მეთაურობდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია.

დაპირებისამებრ, ვიწყებთ ამ შეხვედრაზე მივლინებული ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის წერილების პუბლიკაციას.

საქართველო მოსკოვის ლაბირინთებში

1. უმნიშვნელო დეტალების ალლუმი

საზოგადოებრივი ცხოვრების საკმაოდ მღვრიე ფონზე ჩატარდა ეს შეხვედრა. შეიძლება უზუსტოა, მაგრამ კონტრასტების, ურთიერთგამომრიცხავი წინააღმდეგობების, ალოგიკურობის იმ ქაოტურ ერთობლიობას, რომელსაც დღეს რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების სივრცე ჰქვია, სწორედ ასეთი შედარება ესადაგება, მგონი.

მინუსის ნიშანი ჭარბობს მაინც და მაინც:

ევროგაერთიანების ბუდაპეშტის სამიტზე რუსეთის დიპლომატიის მცდელობა — წინ აღდგომოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატოში შესვლის სურვილს, უშედეგოდ დამთავრდა. პრეზიდენტ კლინტონის განცხადება, რომ არც ერთ ქვეყანას ნებას არ დართავენ „ბლოკირება გაუკეთოს ნატოში ახალი ქვეყნების შესვლას", ძალიან გავდა დიდი ჩინოვნიკის კატეგორიულ რეზოლუციას — „უარი ეთქვას!"

რას?

რუსეთის სურვილს კორექტივები შეიტანოს ევროპულ წესსა და რიგში.

მძიმედ გამოდის ამ დიპლომატიური (და არა მარტო) შოკიდან რუსეთის ხელმძღვანელობის ის ფრთა, რომელმაც თავის პრეზიდენტს სწორედ ამგვარი შეტევის პოლიტიკა შესთავაზა ხელისუფლების დაკარგული ავტორიტეტის დასაბრუნებლად.

შეეგუება კი რუსეთი რიგითი, ჩვეულებრივი ევროპული ქვეყნის თუ სახელმწიფოს როლს?

რა თქმა უნდა, ეს მისი პრობლემაა, ჩვენ რომ არ გვაინტერესებდეს ასე ძალიან.

საზოგადოებრივი აზრი აშკარად დაბნეული თუ არა, პოლარიზებულია ჩეჩნეთის კრიზისის შეფასებაში. კატეგორიულ პოზიციათა დეფიციტი ნამდვილად არ იგრძნობა, თუმცა მოვლენათა განვითარებას, განსაკუთრებით, შედეგების პროგნოზირებას მაინც ერიდებიან, რადგან ანალიზისთვის საჭირო ფაქტურა ძალზე წინააღმდეგობრივია: მაგალითად, რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი ქვეყნის გასაგონად აცხადებს, რომ „თუ ჩეჩნეთის კრიზისის გადაჭრის მშვიდობიანი გზები [illegible] ვეძებს, მაშინ კანონიერება რესპუბლიკაში ძალისმიერი მეთოდებით დამყარდება", ხოლო მისი მოადგილე, გენერალი ბორის გრომოვი ასევე ქვეყნის გასაგონად კატეგორიულად გამორიცხავს რუსეთის სამხედრო შემოჭრას ჩეჩნეთში.

რუსეთში დაძაბული მოლოდინის დღეებია.

8 დეკემბერს, საღამოს პროგრამაში დამოუკიდებელი ტელეკომპანია (НТВ) გადმოსცემს სახელდახელო ინტერვიუს დუდაევთან. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველაფერი მშვიდობიანად მოწესრიგდება ათში. დილით კი იმავე არხის მიმომხილველი აქცენტირებულად შეშფოთებულია: — გროზნოში წუთი-წუთზე ელოდებიან რუსეთის ჯარის შემოტევას.

ეს წუთი-წუთზე ორი დღის სიგრძისა აღმოჩნდება. მხოლოდ 11 დეკემბერს, საღამოს 9 საათსა და 40 წუთზე „ოსტანკინო" შეწყვეტს სტალონეს ფილმის ჩვენებას და აშკარად არარუსი ეროვნების დიქტორი ქალი წაიკითხავს, ცოტა დაბნეულად და ენის ბორძიკით, რუსეთის პრეზიდენტის მიმართვას ჩეჩენი ეროვნების რუსეთელი მოქალაქეებისადმი ჩეჩნეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზნით შინაგანი ჯარებისა და რუსეთის არმიის ნაწილების ამ რესპუბლიკაში შეყვანის შესახებ.

დაწყების მოლოდინი შედეგის მოლოდინით იცვლება, მაგრამ კვანძის ამ პირველ გახსნამდე კიდევ ორი დღე რჩება.

მანამდე კი პრესა დაინტერესებით და შეშფოთებით განიხილავს მოსკოვის ცენტრში, ახალ არბატზე, მერიასთან სპეცდანიშნულების რაზმის მიერ ჩატარებულ ოპერაციას და მას ადამიანის უფლებათა დარღვევად მიიჩნევს. კვლავ წინააღმდეგობა, ამჯერად ორ, ოფიციალურ განმარტებას შორის, რომელიც ერთსა და იმავე შესაბამის ორგანოს განცხადებია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

10 დეკემბერს, დილით რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჟირინოვსკი კვლავ ეკრანზეა და ისე დალაგებით საუბრობს ხალხის გაჭირვებაზე, ისე განიხილავს ეკონომიკურ პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებზე ისე ლაპარაკობს, როგორც ქვეყნის შეწუხებული პატრონი. თქვეს: პრეზიდენტობისთვის ემზადება და ახლა გონიერი და დინჯი ხელმძღვანელის იმიჯს იქმნისო.

ამასობაში ტერორისტები თავს დაესხმიან მეორე ნაციონალისტ ლიდერს — რუსეთის ეროვნულ-რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელს იური ბელიაევს მაშინ, როდესაც მანქანაში ჯდებოდა და მძიმედ დაჭრიან. მისი ორი პირადი მცველი მკვდარია. ბელიაევი ცნობილი გახდა „ანტიკავკასიური" და „ანტისიონისტური" განცხადებებით, რომლებითაც იგი ადრე გამოდიოდა, აგრეთვე, სერბი „მოხალისეების" კურატორობით. კერძოდ, იგი უსაფრთხოების დაცვის კერძო ფირმა „რუბიკონის" პატრონი ყოფილა.

ამასობაში საქციო საზოგადოება „მმმ"-ის ყოფილი პრეზიდენტის მავროდის დეპუტატობა [illegible] იღებს სხვადასხვაგვარ სახესხვაობას: თითქოს დასტურდება ამომრჩევლების მოქრთამვის ფაქტები.

[illegible] დგას საქციო საზოგადოება „ხოპიორ-ინვესტი": მისი მაკომპრომეტირებელი ინფორმაცია უკვე „ჩაშვებულია". ტელევიზია დრო და დრო გადმოსცემს, რომ ანაბრების ფული „ხოპიორის" ბანკიდან კი [illegible], მაგრამ მერე ყოველგვარი კვალი იკარგება.

[illegible] საპრეზიდენტო დოკუმენტური ფილმი — იოსებ სტალინის დაკრძალვა, ხრუშჩოვის, მალენკოვის, მოლოტოვის სიტყვები სამგლოვიარო მიტინგზე...

მაგრამ დროა გადავიდოთ გაზეთები, გამოვრთოთ ტელევიზორი და შევიდეთ პრეზიდენტ-ოტელში, სადაც 9 დეკემბერს, ზუსტად 10 საათზე მოსკოვის დროით დაიწყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების მორიგი შეხვედრა.

[illegible] ერთი თვის წინათ გამართული იგივე შეხვედრა თუ გარკვეული სენსაციურობის [illegible] (ალბათ სიახლის გამო), ახლა მოსკოველმა კოლეგებმა ზედმეტი ფაციფუცისა და აჟიოტაჟის გარეშე გააშუქეს ეს მოვლენა.

იმ შეხვედრაზე კოზირევის გამოჩენა და რეპორტიორების მისევა ერთი იყო, ახლა ერთადერთმა ფოტოაპარატმა დაიჩხაკუნა და ისიც ამ სტრიქონების ავტორისა გახლდათ.

არც რუსეთის პრემიერს ჩერნომირდინს „დასხმიან თავს". ერთი სიტყვით, იყო სამუშაო განწყობილება. დსთ ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრები ჩვეულებრიობის კალაპოტში ჩადგა და საქმისთვის ეს, ალბათ, უმჯობესია.

ასეა?

საქართველოს პრემიერმა ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ ნამდვილად ასეა და დააზუსტა, რომ 9 დეკემბრის სხდომის ძირითად მახასიათებლად შეიძლება ჩავთვალოთ სიმშვიდე, საქმიანი განწყობილება, რომელსაც ზოგ შემთხვევაში თან ახლდა საკმაო შინაგანი დაძაბულობა.

რა დაძაბულობას გულისხმობდა ჩვენი პრემიერი?

მსოფლიოს ჩინოვნიკები მართავენ, საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, სხვათა შორის (თუ უპირველეს ყოვლისა?). ნურავინ ფიქრობს, რომ ქვეყნის დემოკრატიულობა პირდაპირ გამოიხატება ბიუროკრატიულობაში. მით უფრო სწორია (ფაქტები ამტკიცებენ) ეს დებულება, რომლის ავტორობასაც ვერ მივიწერ, ახალი დემოკრატიულ სახელმწიფოებში ან მათ ბლოკებში.

მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომის ერთ-ერთი საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა იყო. ამაში, მოგეხსენებათ, ჩვენი მეზობელი ქვეყნებიც სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი. ექსპერტებმა, რომელთა შორის ჩვენი წარმომადგენლებიც იყვნენ, შეადგინეს შესაბამისი პროექტი, [illegible] გააზრებული და ყოველმხრივი (პოლიტიკურადაც) აწონილი.

და მოულოდნელად, უკვე სხდომაზე, ახლადდარიგებულ დოკუმენტში ჩვენი პრემიერი კითხულობს, რომ საქართველოს ნაცვლად წერია „აფხაზეთის ტერიტორიაზე" (?!). რატომ, საიდან ასეთი ტრანსფორმაცია? იმიტომ, რომ ვიღაც ჩინოვნიკმა ასე გადაწყვიტა.

თქვენ იცით, რას ნიშნავს ასეთი მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრის დროს თუნდაც მძიმის ჩასწორება ნებისმიერ დოკუმენტში? ჩინოვნიკობა, რომელიც მიიჩნევს, რომ სწორედ იგია უმაღლესი ავტორიტეტი ამგვარი დოკუმენტების შედგენაში, თავს სასიკვდილოდ დადებს და უკან არ დაიხევს.

დაიხიეს, ახალი დააწერინეს, ანუ აღადგინეს ძველი, შეთანხმებული. ეს, რა თქმა უნდა, ბატონ ოთარ ფაცაციას ინიციატივა იყო: რეაქცია მყისიერი, არგუმენტირებული და ემოციური.

რუსეთის მთავრობის თავმჯდომარემ ვიქტორ ჩერნომირდინმა ლაკონიურად დაუჭირა მხარი ჩვენს პრემიერს.

ამოიწურა საკითხი?

არა. შესვენებაზე ბატონ ოთართან მიდის რუსეთის რკინიგზის მინისტრი და იწყებს იმის მტკიცებას, რომ, მართალია, ჩერნომირდინმა მხარი დაუჭირა საქართველოს დელეგაციის შესწორებას, მაგრამ პროექტს ახლა არავინ შეცვლის, რომ „საქართველო" ჩაიწერება დოკუმენტში თუ „აფხაზეთი", ამით არაფერი შეიცვლება, სამუშაოები მაინც ერთი და იგივე უნდა შესრულდეს, რომ მთავარი ეს არის და ასე შემდეგ. სხვებიც იყვნენ იქ, საბჭოს სამდივნოდან, კოლექტიური მხარდამჭერნი რკინიგზის მინისტრის.

ვერ ვიტყვი, რომ ძალიან დიპლომატიურად, მაგრამ ძალიან კატეგორიულად უარი განუცხადა ოთარ ფაცაციამ — ყველაფრის გარიგება არ შეიძლება. ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ, მგონი, საქმე კვლავ ჩერნომირდინამდე მივიდა და მან კვლავ მხარი დაგვიჭირა.

ამ „რკინიგზის საკითხს" სხვა [illegible] დანიშნულება ჰქონდა. [illegible] თითქოს წვრილმანი [illegible] დოკუმენტში, რომელიც რკინიგზის აღდგენის სამუშაოების დაფინანსების საკითხს აზუსტებს, როგორ განაწილდება ხარჯები, მაგრამ, აბა, დააკვირდით ასეთ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ნიუანსს. პროექტში წარმოდგენილი იყო, რომ რკინიგზის აღდგენის სამუშაოების ხარჯებს გაიღებენ რუსეთი — 30 პროცენტს, სომხეთი — 30, საქართველო — 30 და აფხაზეთი — 10 პროცენტს.

„ჩვენი დელეგაციის მოთხოვნით, [illegible] ფაქტობრივი [illegible] ... სტატუსის შესაბამისად, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილია, ჩაიწეროთ საქართველო — 40 პროცენტი, აქედან აფხაზეთი — 10 პროცენტი".

კულისების ასეთი „უმნიშვნელო" დეტალები ყოველთვის არ ხდება საჩინო. თუმცა „უფრო მნიშვნელოვანიც" ხშირად რჩება ფართო საზოგადოების ყურადღების მიღმა.

9 დეკემბრის შეხვედრის წინ, როგორც ჩვენი დესპანისათვის, მოსკოვში ოთარ ჩერქეზიასთვის გახდა ცნობილი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, როგორც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის შუამავალ მხარეს დაუბარებია არძინბა. მაგრამ საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებთან შეხვედრაზე უარი უთქვამთ. მიუღიათ იგი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ბორის პასტუხოვსა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს მიხეილ კოლესნიკოვს, განუცხადებიათ, რომ არ ცნობენ იმ თვითმარქვიობის აქტის კანონიერებას, რომელიც აფხაზეთში მიიღეს და, რბილად რომ ვთქვათ, თავის ადგილზე მიუთითეს.

რა თქმა უნდა, ეს ფრიად სერიოზული მომენტია. მაგრამ, ოთარ ჩერქეზიის აზრით, იგი გაცილებით ეფექტური იქნება, თუ კონკრეტული მოქმედება მოჰყვება, მაგალითად (როგორც ეს საერთაშორისო პრაქტიკაშია მიღებული), — იზოლაცია ეკონომიკური, ფინანსური თუ სხვა. ეს ჩვენზეც არის დამოკიდებული — მეტი პრინციპულობა უნდა გამოვიჩინოთ და კატეგორიულად მოვითხოვოთ. ამის გაკეთება მით უფრო აუცილებელია, რომ არძინბას უკან არ დაუხევია და განუცხადებია, რომ მისი გადაწყვეტილება მტკიცეა და საბოლოო.

სიტუაცია ისეთია, გვმართებს ბოლოს და ბოლოს სიმტკიცის გამოჩენა. ასე მიაჩნია საქართველოს დესპანს რუსეთში.

ეგებ, მართლაც ასე იყოს საჭირო, თუ იმ საერთო ფონსაც გავითვალისწინებთ, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ და ისეთ დეტალებსაც, რომლებიც აფხაზეთ-რუსეთის დაპირისპირებას უნდა ნიშნავდეს.

სახელმწიფო დუმის დეპუტატი ვლადიმერ ლისენკო, რომელიც დელეგაციასთან ერთად გროზნოში იყო ჩასული, გაზეთ „იზვესტიის" ფურცლებზე ყვება (**„ირონიით კავშირზე არ გამოვიდა, დაწვრილებით რუსეთის ტანკების გროზნოზე შეტევის შესახებ", „იზვესტია", 1994 წ. 7 დეკემბერი**), რომ რუსეთის ტანკები, რომლებიც წინააღმდეგობის გარეშე შევიდნენ გროზნოში, გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ოპერაციის მართვის ობიექტების ცენტრი კავშირზე არ გავიდა და ტანკისტები, დიდი ხნის ცდის შემდეგ გამოვიდნენ საბრძოლო მანქანებიდან. ყიდულობდნენ სიგარეტებს, ესაუბრებოდნენ მოქალაქეებს.

ამით ისარგებლა დეპუტატმა, განაგრძობს ვლადიმერ ლისენკო, [illegible]

[illegible]

არჩილ ხანჯალიძე,

([illegible])



РЕШЕНИЕ

о Плане мероприятий по выполнению работ на участке: станция Веселое Северо-Кавказской железной дороги Российской Федерации - станция Самтредия Грузинской железной дороги для восстановления сквозного железнодорожного движения по территории Грузии

Совет глав правительств Содружества Независимых Государств

решил:

утвердить План мероприятий по выполнению работ на участке: станция Веселое Северо-Кавказской железной дороги Российской Федерации - станция Самтредия Грузинской железной дороги для восстановления сквозного железнодорожного движения (прилагается).

Принять к сведению, что главы правительств Республики Армения, Республики Грузия и Российской Федерации определили размеры долевого участия государств в финансировании восстановительных работ и поручат соответствующим министерствам и ведомствам в месячный срок наметить этапы выполнения работ [illegible]

[illegible] საქართველოს ტერიტორიაზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე მიღებული დოკუმენტის ასლი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

ნოდარ მუხერიძე — პოლკოვნიკი, სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე;
ანზორ სარალიძე — კაპიტანი, ქიმიური სამსახურის უფროსი (სიკვდილის შემდეგ);
ზურაბ ჩაჩუა — ლეიტენანტი, „ქართველ შევარდენთა“ ლეგიონის ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ).

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

ტარიელ აბუაშვილი — პოლკოვნიკი, ქ. ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის ყოფილი მეთაური;
დავით გოლუბიანი — პოლკოვნიკი, რუსთავის ბატალიონის მეთაური;
შოთა დედანაშვილი — პოლკოვნიკი, ავიაციის უფროსი;
მერაბ კიკაბიძე — მაიორი, სპეციალური დანიშნულების ოფიცერთა ასეულის მეთაური;
ზვიჩა კიკაბიძე — ვიცე-პოლკოვნიკი, სამმართველოს უფროსის მოადგილე;
ვახტანგ მაისურაძე — მაიორი, შტაბის უფროსის თანაშემწე;
ზაზა რუსაძე — პოლკოვნიკი, სატანკო მექანიზებული პოლკის მეთაური;
ავთანდილ ურუშაძე — კაპიტანი, საინჟინრო სამსახურის ოფიცერი (სიკვდილის შემდეგ);
სამსონ ქუთათელაძე — ვიცე-პოლკოვნიკი, საჩხერის ბატალიონის მეთაური;
ვაჟა ჭალიაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, დიდგორის ბატალიონის ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ).

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:

იგორ არტამონოვი — კაპიტანი, კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსი;
მიხეილ ბეგიაშვილი — მაიორი, შეიარაღების სამსახურის უფროსი;
ამირან გიორხელიძე — ვიცე-პოლკოვნიკი, არტილერიის შტაბის უფროსი;
გიორგი გოგობერიშვილი — ვიცე-პოლკოვნიკი, საფინანსო-საგეგმო განყოფილების უფროსი;
ვახტანგ დოლიძე — ვიცე-პოლკოვნიკი, პოლიციის უფროსი;
გიორგი იარალიშვილი — უფროსი ლეიტენანტი, ოპერატიული განყოფილების ოფიცერი;
ზურაბ კაიშაური — უფროსი ლეიტენანტი, კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსის მოადგილე;
გიორგი კიკაბიძე — კაპიტანი, სამმართველოს უფროსის დაცვის უფროსი;
გოჩა კობერიძე — უფროსი ლეიტენანტი, შეიარაღების ოფიცერი;
გიორგი მარგებაძე — კაპიტანი, კონტრდაზვერვის ოფიცერი;
იგორ მდივანი — მაიორი, კომენდანტის მოადგილე;
გიორგი ტერელაძე — ვიცე-პოლკოვნიკი, კადრების განყოფილების უფროსი;
როლანდ ფრუიძე — ვიცე-პოლკოვნიკი, ოპერატიული განყოფილების უფროსი;
მალხაზ ქარაზანიშვილი — მაიორი, გამოთვლითი ტექნიკის უფროსი;
კონსტანტინე ქოჩიაშვილი — კაპიტანი, შეიარაღების სამსახურის უფროსის მოადგილე;
როინ ღლონტი — მაიორი, ჯავშანსატანკო სამსახურის უფროსი;
მალხაზ შარიქაძე — მაიორი, პოლიციის უფროსის მოადგილე;
ამირან ჯაბუკიანი — ვიცე-პოლკოვნიკი, ტექნიკისა და შეიარაღების სამსახურის უფროსის მოადგილე;
მამია ცქიტიშვილი — ვიცე პოლკოვნიკი, საფინანსო-საგეგმო განყოფილების ეკონომისტი;
თენგიზ წერეთელი — მაიორი, ავტოსამსახურის უფროსის მოადგილე;
სოლომონ ხოჯაშვილი — ვიცე-პოლკოვნიკი, სამმართველოს უფროსის მოადგილე;
გიორგი ჭალიაშვილი — მაიორი, სამმართველოს საორგანიზაციო-სამობილიზაციო განყოფილების უფროსის მოადგილე;
ზურაბ ჯაფარიძე — მაიორი, სპორტული განყოფილების უფროსი;
ამბროს ჯაჯანიძე — ვიცე-პოლკოვნიკი, ზურგის სამსახურის უფროსის მოადგილე.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:

ილია ბარბაქაძე — უფროსი ლეიტენანტი, საკომენდატო ასეულის მეთაურის მოადგილე;
გურამ გორგაძე — მაიორი, კვების სამსახურის უფროსი;
იოსებ მაისურაძე — კაპიტანი, სამმართველოს უფროსის ადიუტანტი;
ვიტალი მანაგაძე — მაიორი, კვების სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამაზ სარაჯიშვილი — კაპიტანი, ავტოინსპექციის უფროსის მოადგილე.

ე. შევარდნაძე.

საჭიროა რადიკალური ზომები

ამას წინათ ზუგდიდში სამშვიდობო ძალების ქართველ მეთვალყურეთა შტაბბინაში გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს რწმუნებული სამეგრელოს ზონაში, სახელმწიფო მინისტრი გივი ლომინაძე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ქართველ მეთვალყურეთა შტაბის მეთაური, გენერალ-მაიორი დულა აბაშიძე, ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგებელი ედიშერ ჩარგაზია და სხვა ოფიციალური პირები. თათბირის დღის წესრიგში იდგა გალის რაიონში კრიმინოგენული სიტუაციის გართულების საკითხი, რომელიც პრინციპულად იქნა განხილული. აღსანიშნავია, რომ თათბირზე სპეციალურად მოწვეული იქნა რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი გენერალ-მაიორი ვასილ იაკუშევი, რომლის მისამართით დაისვა არგუმენტირებული საკითხები და სამართლიანი მოთხოვნები იმის შესახებ, რომ გალის რაიონში სულ უფრო მწვავდება კრიმინოგენული სიტუაცია, არის ტერორისტული დამსჯელი ოპერაციების მრავალი ფაქტი, განსაკუთრებით დამაფიქრებელი და საგანგაშოა, რომ აფხაზეთში კვლავ გრძელდება ეთნიკური წმენდის პროცესი.

გალის რაიონის სოფელ რეკაში აფხაზმა სეპარატისტებმა ჯალათურად სიცოცხლეს გამოასალმეს 6 ქართველი, დაწვეს და ააოხრეს 70 საცხოვრებელი სახლი, ხოლო გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშერაში იძულებით გასახლებული ქართველების კარმიდამოებში ხდება თურქეთიდან, სირიიდან და იორდანიიდან ჩამოსული აფხაზების ჩამოსახლება, რის გამოც გაუმართლებლად ჭიანურდება დევნილთა დაბრუნების პროცესი.

გენერალმა ვასილ იაკუშევმა ობიექტურად აღიქვა მისი მისამართით დასმული საკითხები და თათბირის მონაწილეებს აღუთქვა, რომ რადიკალურ ზომებს მიიღებს კონფლიქტის მთელ ტერიტორიაზე კანონიერების აღსადგენად.

ოდიკ ქუხილავა.

ცივილიზებული ბიზნესის სტრუქტურები

აუდიტური მომსახურება — საბაზრო ეკონომიკის თანმხლები სტრუქტურა

წლეულს, წლის ბოლოს, გამანადგურებელი ეკონომიკური კრიზისი ახალი ესკალაციით აღინიშნა: თითქოს უხილავი დირიჟორის ჯოხის აქნევით ზედიზედ გაკოტრდა თითქმის ყველა (!) კერძო სავაჭრო-საბანკო სტრუქტურა და თან მრავალი ათასი მეანაბრის უკანასკნელი კაპიკები და იმედები შეიწირა.

ამ წერილში ჩვენი მიზანი არ არის იმის გაანალიზება, თუ რამდენად კანონიერი იყო ამ, უმეტეს შემთხვევაში, შარლატანური ფირმებისა და კომპანიების საქმიანობა და ვინ არის პასუხისმგებელი ასეთი კატასტროფული შედეგებისათვის. დღევანდელ დუხჭირ პირობებში მოსახლეობა, განსაკუთრებით მისი ღარიბი ფენა, ადვილად წამოეგო მევახშე ფირმების ანკესზე, რომლებმაც უკონტროლო რეკლამის შემწეობით გაძარცვეს მოსახლეობა და მიიმალნენ. სახელმწიფო ხელისუფლების მრავალი მაღალი ჩინოსანი კი, რომლებიც ალბათ, პირადად არაფრით არ დაზარალებულან, ღიმილნარევი მენტორული ტონით მოძღვრავენ მოსახლეობას ჩადენილი გულუბრყვილო შეცდომების გამო და „რაღაც“ დახმარებას პირდებიან. ზოგიერთებმა კი ლამის დაზარალებულ მეანაბრეთა საზოგადოება (კავშირი) ჩამოაყალიბონ... ყოველივე ეს არც მოსათმენია, და არც სერიოზული! მაგრამ ეს ცალკე სასაუბრო თემაა.

ჩვენი მიზანია, საზოგადოებას აუცილებელი ინფორმაცია მივცეთ საბაზრო ეკონომიკის ისეთ სტრუქტურაზე, რომელიც მნიშვნელოვნად შეარბილებს „შოკური თერაპიის“ შედეგებს და დაიცავს კრედიტორებს, მათ შორის, მოსახლეობასაც, ყალთაბანდურ კერძო სტრუქტურებს არ მისცემს მოსახლეობის ძარცვის საშუალებას. უფრო ცივილიზებულს გახდის კომერციულ პარტნიორობას. ეს გახლავთ დამოუკიდებელი, უწყების გარეშე, იურიდიული პირის სტატუსის მქონე აუდიტორული ინსტიტუტი.

აუდიტი არსებითად კონტროლია, კონტროლი კი არავის არ სიამოვნებს. მაგრამ უნდა გავითავისოთ, რომ აუდიტი ყველასათვის საჭირო და აუცილებელი კონტროლია!

სახელმწიფო კონტროლის პალატა, როგორც პარლამენტისადმი დაქვემდებარებული ორგანო, საფინანსო კონტროლის უმაღლესი სტრუქტურაა, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის საერთო კონტროლის ფუნქცია აკისრია.

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია, როგორც მინისტრთა კაბინეტისადმი დაქვემდებარებული ორგანო, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის კონტროლის ფუნქციას ახორციელებს.

დამოუკიდებელ აუდიტურ კონტროლს კი, რომლის საქმიანობა კომერციულ-სამეურნეო სტრუქტურებთან ნებაყოფლობით და სახელშეკრულებო ფორმით ხორციელდება, ევალება საბალანსო ანგარიშგებათა უტყუარობისა და საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების კანონიერების დადგენა, აგრეთვე, კონსულტაციების გაწევა საფინანსო-კომერციულ სფეროში.

აუდიტორული კონტროლის არსებობის წინაპირობაა კერძო სტრუქტურებსა და აუდიტორულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთდაინტერესება: აუდიტური მომსახურების მეშვეობით, კერძო სტრუქტურები ადასტურებენ თავიანთ ქონებრივ შესაძლებლობებს, რწმუნდებიან გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და რეალობაში, საზოგადოებისა და კომერციული პარტნიორების წინაშე დამოუკიდებლად ავლენენ თავიანთ რესურსებს, საბალანსო მონაცემების საჯაროდ გამოქვეყნების გზით აღწევენ კომერციულ ნდობას, რაც ასე მნიშვნელოვანია საბაზრო ვითარებაში ფუნქციონირებისთვის. ახალ პირობებში, ხომ არცერთი ბანკი და კომერციული სტრუქტურა, აგრეთვე მოსახლეობაც, არ უნდა აძლევდეს კრედიტებს ნებისმიერ კერძო ფირმას, მისი ეკონომიკური შესაძლებლობის თაობაზე პრესაში გამოქვეყნებული აუდიტორული დასკვნის გარეშე. აუდიტური სამსახური კი იურიდიულად და მატერიალურად პასუხისმგებელია გაცემული დასკვნის უტყუარობისათვის.

ყოველივე ამასთან ერთად, აუდიტური სამსახური მომგებიანია სახელმწიფო ბიუჯეტისთვისაც, რადგან, აუდიტური ფირმების საქმიანობა, როგორც კერძო ბიზნესი, იბეგრება და ასეთი სამსახურები თავად ხდებიან გადასახადის გადამხდელები. ამიტომ, აუდიტი ცივილიზებული ბიზნესის ერთ-ერთი სპეციფიკური და მნიშვნელოვანი ფორმაა.

აუდიტორული მომსახურების პრაქტიკა 200 წელზე მეტი ხნისაა და კერძო საქმიანობის აუცილებელი თანმხლები ფორმაა. ასეთი ბიზნესის უფლება ყველას ვერ მიეცემა: დიდი მნიშვნელობა აქვს აუდიტორის, ესე იგი, კაცის, „ვისაც ესმის“, უმწიკვლო რეპუტაციას („აუდიტ“ — ლათ. „მას ესმის“, ანუ რუს. „ონ სლიშიტ“). აუდიტორად მუშაობის უფლება მხოლოდ დამოუკიდებელ და პატიოსან ადამიანს აქვს, რომელიც არა მარტო თავისი საქმის ღრმა სპეციალისტი უნდა იყოს, არამედ კარგად განვითარებული ინტუიციაც უნდა ჰქონდეს, უნდა გააჩნდეს ე. წ. „სიმართლის ყნოსვა“. ეს კი მარტო მეცნიერება კი არა, ხელოვნებაც არის.

ყოველივე ამის გამო, აუდიტორულ სტრუქტურებს სჭირდებათ ლიცენზია ისევე, როგორც ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებულ კერძო ფირმებს, მაგრამ თუ დასახელებულ მაგალითში ლიცენზიის გამცემი ნათლად გამოკვეთილია — ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, — აუდიტის სფეროში ასეთი გარკვეულობა ჯერაც არ არის მიღწეული. აუდიტური სტრუქტურებისათვის ლიცენზიის გამცემი შეიძლება იყოს ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ან სულაც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ზოგიერთი კი იმასაც ფიქრობს, რომ აუდიტურ სამსახურებზე ლიცენზიის გაცემისა და მათი საქმიანობის ერთგვარი კოორდინაციის მიზნით, შესაძლებელია შეიქმნას სპეციალური რესპუბლიკური საბჭო (ე. ი. მართვის ახალი ზედგომი ორგანო).

ჩვენი აზრით, არცერთი ზემოთ მოტანილი მიდგომა მართებული არ არის. აუდიტური მომსახურების პროცესი უაღრესად კომპლექსურია და ერთდროულად გულისხმობს (მოიცავს) როგორც მაკრო და მიკროეკონომიკური, ისე საფინანსო, სამეურნეო, საბანკო-საკრედიტო, კომერციული საქმიანობისა და საბუღალტრო აღრიცხვის კარგად ცოდნას შესაბამისი სამეურნეო იურისპრუდენციის გამოყენების უნარს, რაც აღემატება ერთი რომელიმე უწყების კომპეტენციას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, კერძო აუდიტური სტრუქტურებისთვის ლიცენზიის გაცემის მიზნით უნდა შეიქმნას სპეციალური შერეული საუდიტო კომისია ფინანსთა სამინისტროსთან (ან ეკონომიკის სამინისტროსთან). იგი უნდა დაკომპლექტდეს ეკონომიკის, ფინანსთა, იუსტიციის, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროების, ეროვნული ბანკის და სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტებით, პროფესიონალი მუშაკებით (და არა ამ ორგანოების ხელმძღვანელი პირებით). ყოველი აუდიტური ფირმის პერსონალური შემადგენლობის (დამფუძნებლების) ყოველმხრივი შესწავლა-შემოწმების შედეგად, ეს კომისია გასცემს ლიცენზიას, რომელიც სასურველია გადამოწმდეს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ (საუდიტო ფირმების პერსონალურ შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა მართლზომიერების დასადგენად). სხვადასხვა ორგანოების წარმომადგენლების ასეთი კომპლექსური მუშაობა, ჩვენი აზრით, უზრუნველყოფს აუდიტური სტრუქტურების შექმნაში ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანას. ამასთან, ეს იქნება სახელმწიფოს მხრივ ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურების შექმნაში აქტიური მონაწილეობის პოზიტიური ფორმა.

რაც შეეხება სპეციალური რესპუბლიკური საუდიტო საკოორდინაციო საბჭოს (თუ სხვა ამდაგვარი ორგანოს) შექმნას, ეს, უბრალოდ, ახალი რესპუბლიკური სარევიზიო ორგანოს შექმნის ცდა იქნება და მეტი არაფერი, რომელიც თავისი ბუნებით აშკარა წინააღმდეგობაში იქნება ანტიმონოპოლურ კანონმდებლობასთან და დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმების საქმიანობის შემზღუდველი გახდება.

დღეისთვის საერთოდ მოუგვარებელია სახელმწიფო საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის სისტემაში საბაზრო ურთიერთობების ადგილი, მათში აუდიტორული დასკვნის (ანგარიშგების) გათვალისწინებით, გასარკვევია აუდიტური სტრუქტურების ურთიერთობის ფორმები საფინანსო, სამართალდამცავ და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან. აღრიცხვისა და კონტროლის სფეროში სამართლებრივ საფუძველზე ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, ვერცერთი აუდიტური სტრუქტურა ნორმალურად ვერ იმუშავებს.

ყოველივე ამის აღნიშვნა იმიტომ გვიხდება, რომ რესპუბლიკაში დღემდე არ გვაქვს აუდიტური საქმიანობის მომწესრიგებელი რაიმე კანონი ან კანონქვემდებარე აქტი (დებულება, წესდება და ა. შ.). რესპუბლიკაში დღეისათვის არსებული მცირერიცხოვანი კერძო აუდიტური სამსახურები სამეწარმეო საქმიანობის ზოგადი კანონის საფუძველზე არიან შექმნილი და, ბუნებრივია, არცერთ მათგანს არ აქვს საუდიტო ლიცენზია. ეს ერთ-ერთი მეტად მჭევრმეტყველი ნიმუშია იმისა, თუ როგორ ეშლება ხელი ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურების დამკვიდრებას იმით, რომ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები არ ამტკიცებენ წელიწადნახევარ-ორი წლის წინათ, განსახილველად მიღებულ კანონპროექტს აუდიტორული საქმიანობის შესახებ. მაშასადამე, ნებით თუ უნებლიეთ ხელს უწყობენ არსებული ეკონომიკური ქაოსისა და [illegible] შენარჩუნებას. არადა, დამოუკიდებელი აუდიტური მომსახურების ფართო ქსელის არსებობის პირობებში, შესაძლებელია, არ მომხდარიყო ასე მასობრივად მრავალრიცხოვანი ყალთაბანდური ფირმების შექმნა და მათი გაკოტრება. სამწუხაროდ, ასევე დღემდე ჭიანურდება მრავალი სხვა საკანონმდებლო აქტის მიღება.

ერთი სიტყვით, თუ ქვეყნის ხელისუფლებას ნამდვილად სურს რეფორმების განხორციელება, მეტი აქტიურობით უნდა შეუწყოს ხელი აუდიტური მომსახურების დამკვიდრებას, რაც პირველ რიგში აუდიტის შესახებ კანონის მიღებით უნდა გამოიხატოს.

დასასრულ კი, როგორც უპირველესი მნიშვნელობის სასიცოცხლო ამოცანა, რომლის გადაუჭრელად ვერც საბაზრო-ეკონომიკას და მის ცივილიზებულ სტრუქტურებს დავამკვიდრებთ, ვერც ეკონომიკას აღვადგენთ და ვერც საგარეო კრედიტებს გამოვიყენებთ ქვეყნის საკეთილდღეოდ, — უნდა დავასახელოთ ეკონომიკური ბანდიტიზმისა და მაფიოზური კლანების თარეშის აღკვეთა. თუ ეს ვერ მოხერხდა, რესპუბლიკა სულ მალე დაემსგავსება ერთ-ერთ იმ გაკოტრებულ ფირმას, რომელმაც მთელი ქვეყნის დოვლათი და უცხოეთის კრედიტები ერთიანად გაანიავა, ხოლო მისი პრეზიდენტი „შემორჩენილი“ მილიონებით საზღვარგარეთ გარბის. დღეს ასეთ სიტუაციამდე ბევრი არაფერი გვიკლია.

ამირან გაბისონია,
საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური რეფორმების სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.

რომ გამოვიზამთროთ

უიმედობა ღმერთმა გვაშოროს,

ანუ ოთხმოცს გადაცილებული მაშვრალი კაცის თვალით დანახული ჩვენი დღევანდელობა

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ცნობილი ბრძანებულება („1994-95 წლების ზამთრის სეზონისათვის მზადების კომპლექსურ ღონისძიებათა პროგრამის შესახებ“) ქვეყნის საერთო გამოზამთრებასთან ერთად გულისხმობს თითოეული ოჯახის, ადამიანის გამოსაზამთრებელი საშუალებებით უზრუნველყოფას. სწორედ ამიტომ, სოციალურად ყველაზე დაუცველი პენსიონერის ოჯახის მონახულება გადავწყვიტე და გერასიმე კვინტრაძის ოჯახი შევარჩიე.

გერასიმე კვინტრაძე 80 წელს გადაცილებული კაცია, ზაქრაძის ქუჩაზე ცხოვრობს, საკუთარ სახლში. პენსიაზე იგი თბილისის საინსტრუმენტო ქარხნიდან გავიდა. დედაქალაქში 40-იან წლებში ჩამოვიდა სიმწიფის ატესტატით და სატყეო ინჟინრის სპეციალობით ინსტიტუტი დაამთავრა. ინტერვიუ ისეთი როდი გამოვიდა, მე რომ მინდოდა, გამოზამთრებაზე საუბარი ჩვენს მტკივნეულ საკითხებზე გაგვექცა.

პირველი გადახვევა ის იყო, რომ როცა ჩემი სადაურობა გაიგო, გამოზამთრებაზე დასმულ კითხვას გვერდი აუარა და აქეთ მკითხა.,

— ბატონო, ჩემო, „საქართველოს რესპუბლიკა“ მითხარით, არა?

— **დიახ,**

— კეთილი და პატიოსანი. მაშინ თქვენთან ჩემი ანგარიში მაქვს. თქვენი გაზეთი, როგორც ყოველთვის გამოვიწერე, მერე რად გინდა, ვის მოაქვს? იმის მოსვლამდე არაფერი გეტყინოსო, ვერ გეტყვი, იმედი მაქვს და იმიტომ. სხვებივით ჩივილი და წუწუნი არ დამიწყია. გაზეთის მომავალი წლისათვის გამოწერაზე კრინტი რომ არ დაგიძრავთ, მივხვდი, გაგიჭირდათ. უქაღალდობაა მიზეზი, არა? მესმის, გამოიცანი. გაზეთი ღირსეული გამოზამთრების ერთ-ერთი საშუალებაა, ჩემისთანა პენსიონერისათვის ზედგამოჭრილია. ქვეყნის ოფიციალურ ამბებსაც იგებ და სხვა ბევრსაც. მიდი, შეუტიე ზამთრის გრძელ ღამეს, გაზეთზე ჩაგეძინება და... ჰო, რა მკითხე?

— **ბატონო გერასიმე. ცუდ დროს მომიხდა სტუმრობა-მეთქი, უზბეკეთის ტერიტორიაზე მომხდარი ავარიის გამო მთელ ქალაქში ბუნებრივი აირი არ იყო. უაიროდ გაუჭირდა თქვენს ოჯახსაც, ალბათ, არა?**

— ზამთრის სეზონისათვის მზადების, კომპლექსურ ღონისძიებათა პროგრამაში ასეთი მოულოდნელობაც გათვალისწინებული უნდა გქონდეს. ასეთ შემთხვევაში სხვა საშუალება უნდა გაგაჩნდეს. თქვენგან დაწუნებული კომუნისტების დროს, ჩვენს ქარხანაში ასეთ რამეს წინასწარ ვითვალისწინებდით და საჭირო საშუალებებს ვიმარაგებდით. ჩემი აზრით, გამოზამთრებისათვის ყველა საშუალება თავზე საყრელად რომ გქონდეს, თადარიგი, ბრძანებულება მაინც გჭირდება. ყველაფერი აყურში უნდა მოიყვანო და ზამთრის ყველა ჭირვეულობის წინააღმდეგ მზად უნდა იყო. ჩვენ კი რა, ენერგორესურსები არ გვყოფნის, აირი არა გვაქვს და მისი შესყიდვის თავიც არ შემოგვრჩა, საკვები პროდუქტები გვაკლია, პურს ხელგაშვერილი ვთხოულობთ. ასეთ ყოფაში ყველაფერი უნდა იღონო, რომ ზამთარი გადაიტანო, ქვეყანაც გადაარჩინო და კაციც.

— **თქვენ ღონისძიება უკვე მიგიღიათ, ძველებური რკინის ღუმელი გაგიჩაღებიათ.**

— გაჭირვებისაა. ოდესღაც გადაგდებული ღუმელი ამოვაჩინე, ეზოში რაღაც-რუღაცეები მოვფხიკ-მივფხიკე, სარდაფში რაღაც შეშის მაგვარი გამოვნახე, თავს ვიტყუებ. რა ვქნა, ვხედავ ჩემს ქვეყანას უჭირს. რომ ავდგეთ და ეს არა გვაქვსო და ისაო, ვიყვიროთ, ივარგებს? ის არ უნდა მოითხოვო, რისი საშუალებაც არ არის. მე ჩემსას არ მივსტირი, საქართველო ჩვენი გახდა, არა?! ჰოდა, მაშინ, კაი დედ-მამის შვილო, იმ გაჭირვებასაც გაუძელი, რაც ამ ამბავს მოჰყვა, ქვეყანა რომ მოთმინებით იტანს, შენ ცეცხლზე ნავთს ნუ უსხამ. ახლა ზოგიერთები რომ იძახიან — გადადექი-გადადექიო, სიტყვას ჭკუა არ უნდა მიაყოლო? ხომ ხედავ, შენი ეროვნული მოძრაობა ის არ გამოგივიდა, რაც გეგონა. სხვანაირი გზა გჭირდებოდა და ის გზა ვერ იპოვნე. ადექი და თვითონ შენ გადადექი, შენს შეცდომას ახალ შეცდომას რატომ უმატებ?

— **ჩვენ პოლიტიკაში გადავედით, დუმილიდან — პოლიტიკაში. კერძო ბინების პატრონებს გაქვთ ღუმელის ანთების საშუალება, მაგრამ უმრავლესობას ამითი რაიმე შეღავათი ექნება?**

— არა, ერთ რამესაც დავუკვირდეთ. მე ამ სახლის აშენებას მთელი სიცოცხლე შევალიე, რაც კი ვიშოვნე, ამ სახლში ჩავყარე. შენ თავის დროზე კომუნისტებმა უფასოდ მოგცეს ის ბინა, მერე დამოუკიდებელმა საქართველომ კომუნისტების მოცემული ბინა გაჩუქა, კერძო მფლობელი გაგხადა. ეს ცოტაა? რაც გაკლია, იმაზე რომ გაჰყვირი, რაც გაჩუქა, ის რატომ არ გახსოვს? ჯერ, რაც შეეძლო ის მოგცა, მერე, რომ მომჯობინდება, მოღონიერდება, თავისთვისაც მოღონიერდება და შენთვისაც. ეს გაჭირვებაც გაივლის, დაგავიწყდება და სულ სხვა ცხოვრება იქნება, მერე ზამთარიც ბედნიერი გექნება და ზაფხულიც.

— **მართალია სიცივეს მორევიხართ, მაგრამ გამოზამთრებას მარტო სითბო არ უშველის, სინათლეც საჭიროა, კვებაც და სხვა ბევრი რაიმეც, ხომ ასეა?**

— იმათ, ვინც ომის შემდეგ დაიბადა, სიძნელისა და გაჭირვების გადატანა უფრო გაუჭირდებათ. ძველი წრთობის ხალხი სხვა ვართ. ჩვენ გაჭირვებასა და უსახსრობაში დავიბადეთ, მეტი გვინახავს, ზაჰესის შენებაში პირველი ბარი რომ დაჰკრა, იმას სინათლის ყადრსა და ფასს ვერ ასწავლი. ძველად რა, სოფელში სინათლე ჰქონდათ? რამდენიმე წლის წინათ აირი რა იყო, ვიცოდით? ყველაფერი ტექნიკის განვითარებამ მოიტანა, ყველაფერი ჩვენი მარჯვენითა და წლებზე ფეხის დადგმით შევქმენით. ახლა? ბოლო თაობა ფუფუნებას შეეჩვია, ყველაფერი გაითავისა და რა საიდან მოდიოდა, არავინ კითხულობდა, ის სისტემა მოვშალეთ, საერთო ქვაბი ხელ-ხელა ამოშრა და გაჭირვებამაც არ დააყოვნა, თავი წამოჰყო. ახლა თურქმენეთის რესპუბლიკის ამხელა ვალი რომ გვაქვს, თვე-თვეზე აირის საფასურს ვიხდით? ჰოდა, პირველ რიგში ცოტა საკუთარი საბნის სიგანესაც გადავხედოთ, ქვეყნის შესაძლებლობას შევუფარდოთ. თურქმენეთი უცხო სახელმწიფოა, აირი რომ გინდა, შეპირებულიც დროულად უნდა მიართვა. რას გასცემ, როდესაც არაფერს უვლი, ჩაის არ კრეფ, ვაზს ჩეხავ, ხეხილს ახმობ, ფაბრიკა-ქარხნებს ვერ ამუშავებ, დახმარების მოსურნეს შენს ქვეყანაში მოსვლის ეშინია. რაღა დარჩა?

ბიუჯეტი არ გვქონდა, გაგვიჩნდა. თუ ამ სასიცოცხლო ყულაბაში ჩვენს წილს ნორმალურად შევიტანთ, ქვეყანა ფეხზე წამოდგება, წელში გაიმართება და წელგამართულს ვერც მტერი ჩაგხედავს უტიფრად თვალებში და მოყვარეც მეტი მოწიწებით და დაფასებით შეგიყვარებს.

— **ბატონო გერასიმე, მე სანუგეშოდ მოვედი. თქვენ აქეთ დამამოძღვრეთ, მადლობის მეტი რა მეთქმის?**

— თუ ქართველები ვართ, ბატონო ჩემო, ქართველები ვიყოთ. გვიყვარდეს ერთმანეთი, დავაფასოთ მოყვასი, შინაური და გარეული, საქართველო ყოველთვის შრომის, ბრძოლის, მასპინძლობის ქვეყანა იყო. ჩვენ არა გვაქვს უფლება მისი გაწირვისა...

ის იყო, კიდევ რამდენიმე კითხვა უნდა დამესვა, მინდოდა გამეგო, კუთვნილი პენსია პურის საყიდლად ყოფნის თუ არა, ცალკე მცხოვრები შვილები ეხმარებიან თუ არა, რომ ნათურამ დაიწკიპინა და ჩაქრა. უცებ ყველაფერს თალხი გადაედო, გარემო გაუდაბნოვდა და ასე მომეჩვენა, მთელი ქვეყნიერება ჩვენს საუბარში ჩანაცრებული ღუმელის ამარა დარჩა, ბატონ გერასიმეს ჩამქრალი ღუმელი მაინც დარჩა, მე კი ცივი, უსინათლო სახლი და სიცივისაგან მობუზული ცოლ-შვილი მელოდებოდა. საკითხავი ვეღარ ვკითხე. მომერიდა. უფრო სწორად, შემეშინდა ოთხმოცს გადაცილებული კაცის ოპტიმისტური განწყობილებისათვის ზიანი არ მიმეყენებინა.

დიახ, უიმედობა ღმერთმა გვაშოროს!

გალაქტიონ მახარაძე

საბაჟო — საერთო საზრუნავი!

საბაჟო... სულ რამდენიმე წელია, რაც იგი შემოიჭრა ჩვენს ყოფიერებაში. მართლაც სრულიად ახალი, სრულიად უჩვეულო სამსახურია იგი ჩვენში. გაიხსნა პირველი საბაჟოები, რომელთა შორის წამყვანი ადგილი ე. წ. სარფის (ბათუმის) საბაჟოს უკავია.

ბევრი რამ მოხდა ამ უბანზე განვლილ წლებში... ბევრმა წყალმაც ჩაიარა, მღვრიემაც და სუფთამაც. ბევრჯერ ვიკბინეთ თითზეც ჩვენი საბაჟოების და იქ თავმოყრილი ზოგიერთი შემთხვევითი ადამიანის უსინდისობის გამო, მაგრამ ისიც ვიცით, რომ უსაბაჟოდ სახელმწიფო ვერ გვექნება.

აკი ამიტომაც იყო, რომ ამ ბოლო დროს სახელმწიფოს მეთაურის მოთხოვნით დაიწყო რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის მიზანმიმართული გარდაქმნა, ახალ გზაზე დაყენება.

მოგეხსენებათ, როგორი მდგომარეობა გვქონდა საბაჟოებზე, ყველას, ვისაც ესაქმებოდა თუ არ ესაქმებოდა, აქ იყო თავმოყრილი და... გამომძალველობას ეწეოდა.

— მაგალითად — გვეუბნება ბათუმის საბაჟოს უფროსი ლევან გვარიშვილი, — ჩვენი საბაჟოს ტერიტორიაზე 10 დამოუკიდებელი ორგანიზაცია იყო შემოსული. ყველა ცალ-ცალკე კრეფდა გადასახადს. ახლაც ბევრი ორგანიზაციის წარმომადგენლობა დატოვებს საბაჟოს ტერიტორიას, რაც შეეხება გადასახადს — იქნება ერთი ქვითარი, რომელშიც შევა ყველა სახის აუცილებელი გადასახადი, რომელსაც საბაჟოზე მიიღებს სათანადო სამსახური და შემდგომ აქ შემოსულ თანხებს დადგენილი ოდენობის მიხედვით გადაურიცხავს ყველა სხვა ორგანიზაციას. ეს მნიშვნელოვნად გაგვიადვილებს მუშაობას და აღკვეთს გამოძალვებს, ასე ხშირად რომ ხდებოდა ამ უბანზე.

უნდა გითხრათ, — განაგრძო ბატონმა ლევანმა, — რომ უკანასკნელ ხანს ასეთი დარღვევებისათვის საბაჟო დატოვა 300-მდე მუშაკმა, ასეთივე ბედი ეწევა ყველას, ვინც არ შეიგნებს ჩვენს მოთხოვნებს.

კიდევ ერთი რამ: — გვინდა ჩვენმა მოსახლეობამ იცოდეს, თუ ვინ ვინ არის საბაჟოზე. დააკვირდით ამ სურათს: წინა პლანზე შავმეწ ფორმაში ჩვენი მებაჟეები არიან, უკანა პლანზე — ღია ფერის ხალათებსა და შავ შარვლებში კი საბაჟო პოლიციის მუშაკები. ამასთან, თითოეულ მუშაკს მკერდზე ექნება საგანგებო ჟეტონი — გვარსახელისა და თანამდებობის აღნიშვნით. თუ ვინმე სხვა შემოგხვდებათ ბათუმის საბაჟოს ტერიტორიაზე, წინასწარ იცოდეთ, რომ მას საბაჟოსთან არაფერი ესაქმება.

ვფიქრობ, ეს სიახლე სასიკეთო შედეგს გამოიღებს. გარეგნული ფორმა, რომ იტყვიან, უკვე ნახევარი საქმეაო. ღმერთმა ქნას, შინაარსიც ასეთი იყოს!

გია ჭელიძე,
„სრ“ აჭარის ბიურო.

ჩაი-94: პრობლემები. პერსპექტივა

სანამ გვიან არ არის

ჩაის სამართლიანად უწოდებდნენ საქართველოს ძლიერების ერთ-ერთ წყაროს. ეს ახლო წარსულში, დღეისათვის რა მდგომარეობაა ამ სტრატეგიული პროდუქტის წარმოების საქმეში?

როგორც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროში მითხრეს, წელს რესპუბლიკაში დამზადებულია 61.600 ტონა ჩაის ფოთოლი, მათ შორის აჭარაში — 9.900 ტ., ოზურგეთში — 9.700 ტ., ზუგდიდში — 12.350 ტ., მარტვილში — 4.000 ტ., წალენჯიხაში — 4.600 ტ., ჩხოროწყუში — 3.800 ტ., წყალტუბოში — 3.100 ტ., ლანჩხუთში — 2.100 ტ., და სხვა.

ჩაის კრეფის დაბალი დონე სადღეისოდ უამრავმა ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზმა განაპირობა. უწინარესად კი იმ გარემოებამ, რომ მეჩაიეებსა და ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს [illegible] კი ვერ მისცეს დროულად. თქმა არ უნდა, 61600 ტონა ჩაის ფოთოლი ჩვენი რესპუბლიკისთვის ძალზე დაბალი მაჩვენებელია, მაგრამ ეს რაოდენობაც დიდი ძალისხმევის შედეგია. რაიონებს ფულის ნაცვლად 16 ათასი ტონა მაზუთი, 26 ათასი ტონა სასუქი, 8 ათასი ტონა სადიზელო საწვავი მიეცა, რამაც შესაძლებლობა შეუქმნა მათ, მიეღოთ მცირე, მაგრამ გარკვეული რაოდენობის ნედლეული მაინც — თანხის დროზე მიუცემლობის მიზეზია ის, რომ „საქგაზის“ დეპარტამენტი ვერ იხდის წლის დაწყებიდან მისთვის მიწოდებული პროდუქციის ღირებულების დავალიანებას, ამიტომ ჩაის ფაბრიკები მოკლებულნი არიან ყოველგვარ შესაძლებლობას ელემენტარული სამუშაოები მაინც ჩაატარონ, რადგან რაც პროდუქცია ჰქონდათ, გადატვირთა, ნახევარფაბრიკატების სახით დარჩენილ პროდუქციას კი, დამუშავება სჭირდება, ხოლო რაც რესპუბლიკის მოსახლეობისათვის არის განკუთვნილი — მზად არის და სათანადო თანხის გადახდის შემდეგ ნებისმიერ სავაჭრო ორგანიზაციას შეუძლია დაუბრკოლებლივ გაიტანოს.

როგორც ვიცით, შავი და მწვანე ბაიხის ჩაი სავაჭრო-ეკონომიკური სამთავრობათშორისო დავალებების შესასრულებლად ძირითადად გათვალისწინებული იყო ბუნებრივი აირის შემოსატანად თურქმენეთის რესპუბლიკიდან. როგორც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროში თქვეს, დღეისათვის უკვე 3765 ტონა პროდუქცია გადატვირთული, [illegible] ლოს კუპონზე [illegible]

ჩაის მრეწველობის [illegible] პრობლემებზე გაზეთ [illegible] ლოს რესპუბლიკის [illegible] ნტი ესაუბრა [illegible] კის“ უფროსს რამაზ პანცხავას და მის მოადგილეს ენვერ მალაზონიას.

— ჩვენს გაერთიანებას ჩაის საფასურის წინასწარ გადახდისათვის საქართველოს პარლამენტის კომისიის დადგენილებით მიღებული აქვს 500 მილიარდი კუპონი, — თქვა ბატონმა ენვერმა, — მაშინ როცა საბაზრო ეკონომიკის პირობებში პროდუქციის ღირებულების მხოლოდ წინასწარ გადახდის შემდეგ უნდა ხდებოდეს მისი გადატვირთვა. აღნიშნულმა მდგომარეობამ დიდი ფინანსური სიძნელეები შეუქმნა ჩაის მრეწველობის საწარმოებს მთლიანად რე[illegible], ამის გამო, რომ ეს [illegible] მიზნით საკითხის [illegible] დასმის მიუხედავად. გადატვირთული პროდუქციის ანაზღაურების საკითხი მოუგვარებელია, რაც წარმოუდგენლად მძიმე პირობებში აგდებს ჯერ კიდევ შემორჩენილ საზოგადოებრივ მეურნეობებსა და ჩაის ფაბრიკებს. დღის წესრიგში დგება საერთოდ საქართველოში ჩაის, როგორც კულტურის შენარჩუნების პრობლემა, ამის გამო, რომ მოსახლეობამ სერიოზულად აიყარა გული და ზურგი შეაქცია ჩაის ბუჩქს, რომელიც სულ ახლახან საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთ საყრდენს წარმოადგენდა. არის ჩაის ბუჩქების ამოძირკვის, ფართობების მთლიანი გადახვნის ფაქტები, თუ ასე გაგრძელდა, ჩაიც სხვა ქვეყნიდან შემოსატანი გაგვიხდება.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა თავისი განკარგულებით — რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების შორის ურთიერთანგარიშსწორების მოწესრიგებასთან დაკავშირებით შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელიც მევალე ორგანიზაციების მიერ ვალების ურთიერთჩათვლას (გადახდას) აგვარებს.

სამეურნეო წელი მთავრდება, საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება — რაც ჩასათვლელია, ჩაითვალოს, ხოლო დარჩენილი რაოდენობის თანხები უცილობლად უნდა მიიღონ ჩაის დარგის საწარმოებმა, რათა წლის ბოლოსათვის მაინც გახდეს შესაძლებელი მეჩაიეებისა და მუშა-მოსამსახურეებისთვის ხელფასის ანაზღაურება.

— ანალოგიური მიზეზების გამო, — დასძინა ბატონმა რამაზმა, — ფერხდება საშემოდგომო, მოუხეშო და უხეში ჩაის ფოთლის დამზადება და გადამუშავება, რომელიც ძვირფასი ნედლეულია მწვანე აგურა ჩაის წარმოებისათვის, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა, როგორც ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში, ასევე საზღვარგარეთაც, და ამდენად ვალუტის შემოტანის საუკეთესო საშუალებაა.

საბაზრო ეკონომიკის კანონები გზას იკვლევს და ამ მიმართებით ალბათ გარკვეულწილად მინისტრთა კაბინეტის ბოლო პერიოდის დადგენილებაც დაგვეხმარება, რითაც გვიან, მაგრამ მაინც გადაწყდა ჩაის პროდუქციის რეალიზაცია, მისი ლიცენზირებისა და კვოტირების მოხსნით. ჩვენი აზრით, ეს დადგენილება სეზონის დასაწყისისათვის რომ მიგვეღო, დღეისათვის მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

მომავლისათვის სახელმწიფომ ამთავითვე უნდა გადაწყვიტოს დარგის შემდგომი განვითარების საკითხი, დროულად უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება შეღავათიანი სესხების გამოყოფის თაობაზე, რათა ჩაის პლანტაციებში აგროვადების გათვალისწინებით ჩატარდეს საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაოები, ჩაის ფაბრიკები მინიმალურად მაინც მოემზადონ მომავალი სეზონისათვის.

რედაქციისაგან: ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რესპუბლიკაში ფარული ტემპით მიმდინარეობს მეჩაიეობის საწარმოების (ჩაის ფაბრიკების) საქციო საზოგადოებებად გარდაქმნა და მათი სახელმწიფო სტრუქტურებიდან გამოყვანა. სახელმწიფოს თანდათანობით ხელიდან ეცლება ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული დარგები, როგორიცაა მეჩაიეობა, მეღვინეობა, მებაღეობა. სანამ ყველაფერი ჯერ არ დაგვიკარგავს, იქნებ ღირდეს ამ საკითხზე მეტი დაფიქრება, რათა შემდგომში, ტოტალური განსახელმწიფოებრიობის პირობებში, თითოეული საწარმო ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიურ პროცესზე ინფორმაციულ ვაკუუმში არ აღმოჩნდეს და საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადაყვანა შედარებით უმტკივნეულოდ განხორციელდეს. თურქეთში, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ჩაის პლანტაციები პრივატიზებულია, ჩაის მრეწველობას სახელმწიფო ორგანიზაცია „ჩაიქური“ ხელმძღვანელობს, რომელიც თავის რიგებში 45 მძლავრ ჩაის ფაბრიკას აერთიანებს. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელიდან არ უშვებს თავისი ქვეყნის პრიორიტეტული დარგის განვითარების სადავეებს.

ნაზი იმნაიშვილი.

საქართველოს სტუმარი

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოში სტუმრად იყო მისი უდიდებულესობა ბატონიშვილი ლეონიდა გიორგის ასული ბაგრატიონი-რომანოვა. იგი რამდენიმე ათეული წლის განშორების შემდეგ ეწვია თავის სამშობლო საქართველოს.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში მან განაცხადა:

პირველ ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს მისი თავაზიანი მოპატიჟებისათვის მომენახულებინა საქართველო.

63 წლის შემდეგ დიდი მღელვარებით პირველად დავადგი ფეხი მშობლიური საქართველოს მიწას, სადაც დავიბადე, სადაც დაიბადნენ ჩემი დედ-მამა, უძველესი ქრისტიანული დინასტიის მემკვიდრეები.

აქ გავატარე ბავშვობა, მრავალი მძიმე, მაგრამ ბედნიერი დღეებიც, რამდენადაც მომიწია ჩემს ძვირფას და ძალზე საყვარელ მშობლებთან ერთად გამეზიარებინა ყველა გასაჭირი. მე ცოლად გავყევი დიდ მთავარს ვლადიმერ კირილეს ძეს და დავდე ფიცი, რომ ერთგულად ვემსახურებოდი რუსეთის ინტერესებს, მაგრამ ეს ინტერესები, მიმაჩნია, რომ განუყრელია საქართველოს — ჩემი სამშობლოს, ჩემი წინაპრების სამშობლოს ბედთან. ბაგრატიონთა დინასტია ხომ უძველესია ქრისტიანულ სამყაროში, იგი დასაბამს იღებს მეფე დავითიდან. პაპაჩემი თავადი ბაგრატიონ-მუხრანელი მოკლეს 1916 წელს კისლოვოდსკის მახლობლად, რომელმაც არ უღალატა თავის ფიცსა და მრწამსს, ქართულ-რუსული მეგობრობის ტრადიციებს.

1933 წელს ჩვენი ოჯახი საზღვარგარეთ გაემგზავრა, ამ დროისათვის მამაჩემი არაერთგზის იყო დაპატიმრებული. წასვლა მოვახერხეთ მხოლოდ მაქსიმ გორკის დახმარების მეოხებით. საქართველოში დარჩენილ ჩემ უფროს დას მოუწია ციმბირის ბანაკებში ყოფნა. სამოც წელზე მეტია ვცხოვრობ საზღვარგარეთ, მაგრამ არც მე, არც ჩვენი ოჯახის წევრებს არ დაგვიკარგავს შინაგანი კავშირი საქართველოსთან.

არც ჩვენი ემიგრაციის პირველი წლები იყო იოლი, ვიდრე არ შევხვდი ჩემს დაუვიწყარ მეუღლეს, დიდ მთავარ ვლადიმერ კირილეს ძეს, რომელიც, როგორც იცით, ორმოცდათოთხმეტი წლის განმავლობაში რუსეთის საიმპერატორო სახლს მეთაურობდა. ახლა დინასტიის მეთაური გახდა ჩვენი ქალიშვილი მარიამი.

ჩვენ დიდ მთავართან ერთად მთელი ცხოვრება, 44 წელიწადი, სამშობლოში დაბრუნების იმედით გავატარეთ. და ღმერთმა ისმინა ჩვენი ვედრება. მაგრამ ჩემი მეუღლისათვის ეს იყო პირველი და უკანასკნელი ვიზიტი. ახლა იგი მშობლიურ მიწაში, პეტრე-პავლეს ტაძარში განისვენებს წინაპართა ნეშტების გვერდით, მე კი ვაგრძელებ მის წამოწყებულ საქმეს და მასავით მთელ ჩემ ძალ-ღონეს ვახმარ ამას.

ღვთის წყალობით, მე დიდ მთავარს საქართველოს სიყვარული ჩავუნერგე. ის მუდამ ოცნებობდა მოეხახულებინა ეს ღვთითკურთხეული მხარე.

დიდ მთავარს სწამდა, რომ რუსეთი და საქართველო მუდამ მოკავშირეები იქნებოდნენ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ. მეც მწამს, რომ ჩვენ მართლმადიდებელ ხალხებს მუდამ ურთიერთდახმარების გულწრფელი სურვილი ექნებათ.

მე, აგრეთვე, წილად მერგო შემეკედლებინა ჩემი ძმის, ირაკლის უფროსი ვაჟი მისი სიცოცხლის პირველ წლებში. დღეს თავადი გიორგი ბაგრატიონი საქართველოს სამეფო სახლის მეთაურია.

მე ვიცი, როგორი სიყვარულითა და შეშფოთებით ადევნებს იგი ყოველდღიურად თვალს, თუ რა ხდება მის ძვირფას საქართველოში.

დაბოლოს, მთელი გულით ხანგრძლივ და მტკიცე მშვიდობას ვუსურვებ როგორც საქართველოს, რომელმაც ასე გულითადად მიმასპინძლა, ისე რუსეთს — ჩემს მეორე სამშობლოს.

იმედი მაქვს, აღნიშნა დასასრულ ბატონიშვილმა, რომ საქართველოც და რუსეთიც მომავალში გადადგამენ ნაბიჯებს მონარქიის აღდგენის გზაზე, დაე თუნდაც სიმბოლური ფორმით. ეს, ჩემი აზრით, საჭიროა უწინარეს ყოვლისა ორი მრავალტანჯული ხალხისათვის, რამეთუ ეს ხელს შეუწყობდა იმას, რომ დაუბრუნდნენ თავიანთ საწყისს, თავიანთ ისტორიას, ტრადიციებს, ჩაუყარონ საფუძველი ეროვნულ დაზავებასა და სიმშვიდეს, მომავალ აყვავებას, განამტკიცონ ოდინდელი ქართულ-რუსული ურთიერთობა.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

ომი თუ კომპრომისი?

ჩეჩნეთის კრიზისულ მოვლენებთან დაკავშირებით წინა წერილში აღნიშნული იყო, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა მწვავე დილემის წინაშე აღმოჩნდა — ჩეჩნეთში რუსეთის უზენაესი იურისდიქციისა და ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად ოფიციალურ მოსკოვს დიალოგი ან ძალისმიერი გადაწყვეტა უნდა აერჩია.

რუსეთის უშიშროების საბჭომ, ფაქტობრივად, პრიორიტეტი (სამი წლის დაგვიანების შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა „დიდ შეცდომად" მიიჩნია), ჩეჩნეთის პრობლემების ძალისმიერ დიალოგს (შეთანხმების მიღწევის სამხედრო გადაწყვეტას) მიანიჭა. ეს პრეზიდენტ ბორის ელცინის ჩეჩნეთის მიმართ ულტიმატუმურ მიმართვაში აისახა. ჩეჩნეთის პრობლემის სამხედრო გადაწყვეტის მცდელობა 26 ნოემბერს გროზნოზე იერიშის უნაყოფო აქციაში გამოვლინდა. მოსკოვისათვის ნათელი ხდებოდა, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი თავის პოზიციას ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის საკითხში ვერ გადაუხვევდა. ეს მისთვის სრული პოლიტიკური ფიასკო იქნებოდა და იგი შეეცდებოდა პოლიტიკური ასპარეზი ეროვნული გმირის შარავანდედით დაეტოვებინა. ამიტომ რუსეთის ხელმძღვანელობამ, პრეზიდენტ ბორის ელცინის ბრძანებულების შესაბამისად, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებისა და ჩეჩნეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზნით (პრაქტიკულად ერთდროულად) ჩეჩნეთში ჯარების შეყვანა და დიალოგი დაიწყო.

მას შემდეგ, რაც ვლადიკავკაზში მოლაპარაკებაზე პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის დელეგაციამ მიუღებლად მიიჩნია რუსეთის დროებითი სამთავრობო სამუშაო კომისიის წინადადება (ხელი მოეწერათ შეთანხმებაზე ჩეჩნეთში უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებისა და საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენის შესახებ და ეცნოთ ჩეჩნეთი რუსეთის ფედერაციის სუბიექტად.) ვითარება ჩეჩნეთში უკიდურესად დაიძაბა. ჩეჩნეთის დელეგაციამ ვლადიკავკაზი დატოვა. რუსეთის შეიარაღებული ძალები (წინააღმდეგობის მიუხედავად) სულ უფრო ავიწროვებდნენ რკალს ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოს ირგვლივ. პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა გაავრცელა განცხადება ტოტალური ომის გამოცხადების შესახებ. ამის შემდეგ რუსეთის დროებითი სამუშაო სამთავრობო კომისია ვლადიკავკაზიდან მოსკოვს გაემგზავრა. მისმა ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ მიხაილოვმა განაცხადა, რომ უკვე ამოწურულად მიიჩნევს დელეგაციის მისიას და წუხილით სტოვებს ვლადიკავკაზს. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ გუშინ დამთავრდა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ბრძანებულების ვადა ჩეჩნეთში უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრთა ამნისტიის შესახებ თუ ისინი იარაღს დაყრიდნენ. როგორც რადიოსადგური „თავისუფლება" იტყობინებოდა, ჩეჩნეთის დედაქალაქიდან ფაქტობრივად ყველა ქალი, ბავშვი და მოხუცი გაიყვანეს, ქალაქში პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის დასაცავად 40 ათასი მამაკაცი დარჩა.

ჩეჩნეთის პრობლემის გადაწყვეტის მიზნით რუსეთის ჯარების შეყვანამ, რუსეთის უმაღლესი მმართველი და საკანონმდებლო ორგანოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. გათიშვა თვით პრეზიდენტ ბორის ელცინის მომხრე დემოკრატიულ ძალებშიც მოხდა: ზოგი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას — იმოქმედოს ძალისმიერი მეთოდებით — რუსეთის კონსტიტუციის დაცვად და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ჯაჭვური რეაქციის თავიდან აცილებად მიიჩნევს, მეორენი ჩეჩნეთის პრეზიდენტთან დიალოგის გაგრძელებას უჭერენ მხარს. ბევრს აშინებს ხანგრძლივი „მეორე კავკასიური ომის" დაწყების პერსპექტივა, რომელშიც არა მარტო კავკასიის ხალხები იქნებიან ჩათრეული. რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატამ — სახელმწიფო სათათბირომ, რომ იტყვიან, „მოგვიანებით" დაგმო კონფლიქტის გადაწყვეტის მთავრობის ძალისმიერი მეთოდები და რუსეთის პრეზიდენტს გროზნოს ოფიციალურ ხელისუფლებასთან დიალოგისაკენ მოუწოდა. ნიშანდობლივია, რომ, თვით პრეზიდენტმა ბორის ელცინმაც მიმართა რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატას გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება, გაეკეთებინათ არჩევანი, თუ ჩეჩნეთის რომელ მხარესთან იქნებოდა დიალოგის დაწყება უპრიანი. ხუთშაბათს ცნობილი გახდა, რომ ბორის ელცინმა კიდევ 48 საათით გააგრძელა თავისი ულტიმატუმის ვადა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებისა და იარაღის ჩაბარების შესახებ, მიმართა გროზნოს ხელმძღვანელობას, რომ თუ პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი გამოთქვამს მზადყოფნას სათავეში ჩაუდგეს დელეგაციას მოსკოვთან მოლაპარაკებისათვის, იგი დანიშნავს წარმომადგენლობით დელეგაციას მაღალი რანგის თანამდებობის პირის ხელმძღვანელობით.

ჩეჩნეთი — კრიტიკული დღეები

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბორის ელცინის აღნიშნულ განცხადებამდე ჯოხარ დუდაევმა სურვილი გამოთქვა დაეწყო მოლაპარაკება რუსეთის ხელმძღვანელობასთან ჩეჩნეთში სისხლისღვრის შეწყვეტისა და შექმნილი ვითარების მოსაწესრიგებლად. როგორც ვხედავთ, ნათლად გამოჩნდა ორივე მხრიდან კომპრომისის რეალური ნიშნები. ჯოხარ დუდაევისათვის ნათელი გახდა, რომ შეურიგებელი პოზიცია, რომელიც მან ჩეჩნეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხში დაიკავა (რაც, ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა იქნებოდა) მხარდაჭერას ვერ პოულობს არა მარტო რუსეთის დემოკრატიული ძალების უდიდესი [illegible], არამედ მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს, მათ შორის მუსლიმანური ქვეყნების მხრიდაც. შექმნილ ვითარებაში მას მხოლოდ ერთადერთი ალტერნატივა შეიძლება დარჩეს — შეინარჩუნოს ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის სახელი და, ქვეყანაში საყოველთაო სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, დატოვოს პოლიტიკური ასპარეზი ისე, რომ უარი არ თქვას ჩეჩნეთის სრული დამოუკიდებლობის იდეაზე, ადგილი დაუთმოს ჩეჩნეთის კომპრომისულ ძალებს, რომლებიც აღიარებდნენ ჩეჩნეთს, როგორც რუსეთის ფედერაციის სუბიექტს.

თავის მხრივ შექმნილ ვითარებაში რუსეთის პრეზიდენტიც, როგორც ჩანს, უპრიანად მიიჩნევს მოლაპარაკებას უშუალოდ ჯოხარ დუდაევთან, რომელთანაც დიალოგმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სამი წლით დაიგვიანა" ქვეყნის მაფიო პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებაში, რუსეთის ზედა ეშელონებში ფაქტობრივად, დღემდე არსებული გაორებული პოზიციის გამო, რაც, კერძოდ, ქართველ-აფხაზთა კონფლიქტისადმი დამოკიდებულებაშიც აისახა.

ირაკლი ჯაფარიძე.

მოსკოველ მაყურებელთან შეხვედრის წინ

ორ ათეულზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, რუსეთის დედაქალაქის სცენური ხელოვნების მოყვარულებს, ექნებათ შესაძლებლობა, შეხვდნენ თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის დასის ხელოვნებას. ამ შემოქმედებითმა კოლექტივმა მიიღო მიწვევა, გამოვიდეს მოსკოვის პუშკინის სახელობის თეატრის სცენაზე და წარმოადგინოს ორი დადგმა ჩეხოვის „ალუბლის ბაღი" და „ქართული კლასიკა რუსულ სცენაზე", რომელიც შექმნილია დავით კლდიაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მოტივებზე. ორივე სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს გიორგი ქავთარაძეს. სცენოგრაფია — იური გეგეშიძეს,

მოსკოველთა წინაშე მთავარ როლებში გამოვლენ ჯემალ სიხარულიძე, ვალერი ხარიუტჩენკო, ელენე კილასონიძე, ლუდმილა მღებრიშვილი, ირინე მეღვინეთუხუცესი, ელიზბარ კუხალეიშვილი, და სხვები. გრიბოედოველთა მცირე გასტროლები მოსკოვში გაიხსნება 17 იანვარს და 28 იანვრამდე გასტანს.

იუბილე

პატარებს უყვართ

გივი პიპინაძე 60 წლისაა

რა მოულოდნელად მოგიკაკუნა კარზე სიბერემ! შენც კი, მუდამ ასე ახალგაზრდას, ენერგიულს, სიცოცხლით სავსესა და მგზნებარე მოკამათეს, მუდამ ხალისიანს და უზომოდ კეთილს! შენც მოგიახლოვდა?

რა არის 60 წელი — ცოტა თუ ბევრი? ალბათ ისეთი ადამიანისათვის, როგორიც შენა ხარ — არც მაინც და მაინც ბევრია... უთუოდ ბავშვების სულიერ სამყაროსთან სიახლოვე კვებავს შენს მარადიულ ახალგაზრდობას. რა კარგად მახსოვს შენი სტუდენტობა, შენი პირველი ფრთხილი, მაგრამ მაშინვე ჭეშმარიტი ნიჭიერებით აღბეჭდილი ნაბიჯები თეატრალური ინსტიტუტის პატარა სცენაზე... შენი არკაშკა ნესჩასტლივცევი და რიჩარდ დრუეტი, პირველი დიდი გამარჯვება — ლეონარდო, ანატოლ ფრანსის უნატიფესი კომედიიდან „მუნჯი ცოლი", რა ადვილი იყო მაშინ ახალგაზრდისათვის ზომიერების დაკარგვა! მაგრამ არ გიღალატა გემოვნებამ (არც მაშინ და არც შემდგომში, არასოდეს) დანის პირზე მშვიდობიანად გატარა ნაწარმოების სტილის, ფორმის უზუსტესმა გრძნობამ, ესოდენ აუცილებელი რომ არის შემოქმედისათვის. შენ და შენმა ჩინებულმა პარტნიორმა ზაზა ლებანიძემ იმ დროს საერთო აღიარება მოიპოვეთ, რაც არც ისე ხშირია სტუდენტურ სპექტაკლებში.

ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრე. თბილისის ყველა თეატრი სიამოვნებით მიგიღებდა, მაგრამ შენ, მეგობრებთან ერთად, მშვენიერ სოხუმს მიაშურე.

პირველივე როლით, ოპტიმისტენკო — სპექტაკლში „აბანო", რამდენიმე გამოცდა ჩააბარე ერთდროულად — შეხვედი და უმალ გაუთავისდი უცხო დასს, ითამაშე „სხვისი" როლი და არ გაიმეორე, არც ამოვარდი საერთო ქსოვილიდან; შეეჭიდე მაიაკოვსკის ურთულეს დრამატურგიას და აქაც ღირსეულად გაართვი თავი შენს წინაშე დასახულ ამოცანას...

მერე ჯეკობს უმცროსის ერთი უმთავრესი და ურთულესი როლი ილფისა და პეტროვის „მშვიდობის კუნძულში" (რეჟისორი ლევან მირცხულავა), მესამე კლასელი კაკოია ფეხბურთელი თამორიძის პიესაში „დაკარგული დრო". წლის მანძილზე მოფრინავდა სასიხარულო ცნობები სოხუმიდან. მაშინდელი ნამუშევრებიდან მე მხოლოდ ოპტიმისტენკოსა და ბობჩინსკის ნახვის სიამოვნება მქონდა. ნანახმა დამარწმუნა, რომ ქებაში, რომელსაც შენს შესახებ ვისმენდით, არ აჭარბებდნენ.

უთუოდ ამან განაპირობა, რუსთაველის თეატრმა რომ ფართოდ გაგიღო კარი სრულიად ახალგაზრდას და ბევრი საინტერესო სამუშაოც შემოგთავაზა. პირველი ნაბიჯებიდანვე მრავალფეროვანია და თანაც რთული შენი ცხოვრება საქართველოს დედა-სცენაზე.

ყოველთვის მართალი, უშუალო იყავი შემოქმედებაში. სულ პაწაწინა ეპიზოდებშიც ახერხებდი დასრულებული ხასიათის წარმოჩენას. მარტო „სიბრძნე სიცრუისა" რად ღირდა, რა როლი რომ ოსტატურად გამოძერწე, რვა პერსონაჟი გააცოცხლე. მრავალ ფილმში მონაწილეობდი, მაგრამ მათ შორის აღსანიშნავია ევტიხი („წუთისოფელი"), იფრო („ნატვრის ხე"), სანდრო („მინდვრის ყვავილი")... ყველა, ყველა გვახსოვს, გვიყვარს ყოველი მათგანი. მით უფრო დასანანია, რომ ბოლო ხანებში დაგვიძვირდა ახალ სახეებთან შეხვედრა. იმედია, ამ დროებით პაუზას მალე დაედება სამანი.

ერთ შენს პატარა წერილში, რომელიც დიდებულ კოლეგას — რამაზ ჩხიკვაძეს მიუძღვენი, წერდი: „შემოქმედის მაღალნიჭიერებაში იგულისხმება მრავალი გამორჩეული, მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ის თვისებები, რომელთა გამო იპყრობს იგი ხალხის გულსო". ამგვარი თვისებები არც შენ დაგაკლო განგებამ. ადრეული ახალგაზრდობიდანვე დაიპყარი ხალხის გული და დღემდე შენი ერთგული მადლიერი მაყურებელი.

ლალი ყურულაშვილი.

წიგნიდან — „ჩემი წილი საუკუნე"

სოლომონ ისაკიჩი და სხვები

არ ვიცი, რატომ, ძალიან მომინდა, ერთხელ კიდევ წამეკითხა „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი". ლავრენტი არდაზიანის ეს ნაწარმოები თითქოს საკმაოდ კარგად მახსოვდა, სკოლაში გვისწავლია, გასცენიერებულიც მინახავს მარჯანიშვილის თეატრში. თუ არ ვცდები, ვახტანგ ტაბლიაშვილის რეჟისორული დებიუტი იყო, საკმაოდ წარმატებულიც; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მომინდა სოლომონ ისაკიჩის ცხოვრებისათვის თვალის გადავლება. ჩემს ბიბლიოთეკაში წიგნი არ აღმოჩნდა. არც გამკვირვებია. არდაზიანის ეს ნაწარმოები უფრო სასკოლო პროგრამით ისწავლებოდა. ამიტომ მეზობლებში, ნაცნობ-მეგობრებში გავიკითხე. ბავშვებიან ოჯახებში, ვერსად მიპოვნეს. მოსწავლეთა უმეტესობას გაგონილიც არ ჰქონდა არც არდაზიანი და არც მისი რომანი ვიღაც მეჯლანუაშვილზე. საბოლოოდ კი დავადგინე, რომ კარგა ხანია ნაწარმოები საერთოდ ამოღებულია სასწავლო პროგრამიდან.

სანამ წიგნს ვეძებდი, ენციკლოპედია გადავათვალიერე, 1953 წელს „საბჭოთას" იარლიყით გამოცემული. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ობიექტურად არის განმარტებული არდაზიანის რომანის არსი და მნიშვნელობა. „მასში დამაჯერებლად აისახა ძველი სოციალური ყოფის ნგრევა და ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრების გარდუვალობა საქართველოში. რომანის წარმატება თავადაზნაურთა რომანტიკულმა სახეებმა კი არ განაპირობა, არამედ სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლის — მეჯლანუაშვილის ცხოვრებისა და ფსიქოლოგიის დაკვირვებულმა ანალიზმა".

და მე მივხვდი, რატომ მომინდა ასე ძალიან სოლომონ ისაკიჩთან შეხვედრა. იმიტომ, რომ ამ ბოლო ხანებში ჩვენს გარშემო ბევრი მეჯლანუაშვილი გაჩნდა. ძალიან ბევრი, უთვალავი, ყველა ფეხის ნაბიჯზე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით; მეტი რომ აღარ შეიძლება, იმდენი; ნაჯერი ხსნარივით, მარილი წყალში რომ აღარ იხსნება; ეს მაინც დამმახსოვრებია ქიმიიდან.

ერთ ბიბლიოთეკაში მივაგენი ამ წიგნს. იქვე მაცნობეს, იშვიათად გააქვთ იგი; ძირითადად — სტუდენტებს; კიდევ კარგი, უმაღლეს სასწავლებლებში თუ ასწავლიან, ისიც, ალბათ, ზერელედ, რომ იტყვიან, ვალის მოხდის მიზნით. წიგნის წაკითხვის შემდეგ [illegible] უფრო ღრმად და საინტერესოდ მომეჩვენა იგი; თქვენ წარმოიდგინეთ, მხატვრული თვალსაზრისითაც; იმდროინდელი ქართული პროზის სიღარიბე უფლებას არ გვაძლევს ასე უდიერად მოვექცეთ არდაზიანს და მის რომანს.

ზემოთ დავწერე და აღარ მინდა წავშალო, დღეს ჩვენს გარშემო ბევრი მეჯლანუაშვილი გაჩნდა-მეთქი. წიგნის წაკითხვის შემდეგ აზრი შევიცვალე. არდაზიანის გმირი და მისი დღევანდელი პროტოტიპები თითქოს ერთნაირ საქმიანობას ეწევიან, მაშინ ვაჭრობა, ალებ-მიცემობა რომ ერქვა, დღეს კი ბიზნესად მონათლეს, მაგრამ ისინი მაინც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უპირველეს ყოვლისა, ზნეობით, კეთილშობილებით, კანონთან და ხელისუფლებასთან ურთიერთობით, სიტყვის გაუტეხლობით, მოკრძალებულობით, გულმოწყალებით, მიმტევებლობით... სოლომონ ისაკიჩის სასარგებლოდ, რა თქმა უნდა.

ფულის ყადრი იცოდა კიდევ. სიტყვა „ბროკერი", რა თქმა უნდა, გაგონილიც არ ჰქონდა. მაგრამ, ნახეთ, როგორ აფასებს იგი იმ პირველ ოქროს, მყიდველსა და გამყიდველს შორის შუაკაცად ჩამდგარმა რომ მოიპოვა: „კაცის ენაზედ ვერ ვპოვებ სიტყვას, რომ გამოვთქვა, როგორ შემიყვარდა ის ოქრო, ჩემმა გულმა გაუღო კარი და მაგრა ჩხიკრა".

პოდა, თუკი ცხოვრების ასეთი წესი, ახლა საბაზრო ეკონომიკას რომ ვეძახით, გარდაუვალი ყოფილა და ეს არდაზიანმა მთელი საუკუნით ადრე იწინასწარმეტყველა, ხოლო სოლომონ ისაკიჩის მთელი ცხოვრება და საქმიანობა ამის ნათელი მაგალითია, თავისთავად ჩნდება კითხვა, ვის მოუვიდა აზრად, ეს წიგნი ამოეღოთ სასწავლო პროგრამიდან? იქნებ პირიქით უნდა ყოფილიყო, მეტი დრო დაეთმოთ მისთვის, თანამედროვეობასთან დაეკავშირებინათ მასწავლებლებს, საკონტროლო ჩაეტარებინათ, ვთქვათ, ასეთ თავისუფალ თემაზე — „მე რომ დღეს მეჯლანუაშვილი ვიყო".

ეს მოსაზრება კიდევ უფრო განმიმტკიცეს განათლების დარგის მუშაკებმა — პედაგოგებმა, სკოლების ხელმძღვანელებმა, მეთოდისტებმა დახელოვნების ინსტიტუტიდან... და გამიჩნდა სურვილი, გამომექვეყნებინა პრესაში ღია წერილი განათლების მინისტრისადმი, ასე ვთქვათ, დღის წესრიგში დამეყენებინა საკითხი, ერთხელ კიდევ გადახედულიყო სასკოლო პროგრამები და ერთ-ერთ მაგალითად მომეყვანა ლავრენტი არდაზიანი და მისი ნაწარმოები მეჯლანუაშვილზე. სხვა საკითხების დაყენებაც შეიძლებოდა ამ წერილში, ვთქვათ, რატომ არა აქვს მოზარდთა დღევანდელ თაობას წაკითხული „გულივერის მოგზაურობა" და „რობინზონ კრუზო", ვისი ბრალია ეს, ოჯახის თუ სკოლის, საგანგაშოა ეს თუ ცხოვრების ლოგიკაა?

ამ კეთილშობილური იდეით შთაგონებულმა, რომ მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საშურ საქმეს წავადგებოდი, ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებას მივაპყრობდი და თავსაც მოვიწონებდი, გადავწყვიტე, წერილის დაწერის წინ ერთხელ კიდევ გავსულიყავი ხალხში, ცხოვრების შუაგულში, რათა უფრო ღრმად და საფუძვლიანად გავცნობოდი დღევანდელ მეჯლანუაშვილთა საქმიანობას. ამასთან შემესრულებინა ოჯახის დავალება, რაც შეიძლება იაფად მეშოვა შაქარი, რასაც აგერ უკვე მთელი წელია, ველოდებით ტალონებზე ჯერ კიდევ „სახელმწიფოდ" წოდებულ მაღაზიაში.

პირველად ბირჟაზე გავედი, ვალუტას რომ ჰყიდიან და ახურდავებენ, დოლარს — მანეთზე, მანეთს — კუპონზე, და — პირიქით. ზღვა ხალხი ირეოდა. კუპონი კვლავინდებურად სულს ღაფავს. დოლარის ფასმა უკვე სამ მილიონს მიაღწია. ეროვნული თავმოყვარეობის შესალახად უკეთესი საშუალებას მტერიც ვერ მოიგონებდა. თვითად ვალუტის გადაცვლის ტექნიკა უმაღლეს დონეზეა აყვანილი. ინდოელ ფაკირსაც კი შეშურდება ამ ბიჭების თითების მანიპულაცია. თუმცა როგორც ჩანს, მორალსა და პატიოსნებაზე, აქ, მაინცდამაინც, თავს არ იწუხებენ. თუ ფხიზლად არ იქნები, რომ იტყვიან, თვალიდან ბეწვს ამოგაცლიან, სოლომონ ისაკიჩისაგან განსხვავებით.

შემდეგ „ხოფის ბაზარზე" გადავინაცვლე, სახელდახელოდ გაწყობილ ფარდულებს, ჯიხურებს და ხელზე მოვაჭრეებს ჩავუარე. შაქრის მაზანდით დავინტერესდი. 50-კილოგრამიანი ტომარა ოცდახუთიდან ოცდაათ დოლარამდე ფასობს. რატომაა ფასებში ასეთი განსხვავება-მეთქი, დავინტერესდი. გაიცინა, ვისი შაქარიაო, რუსული, მაგალითად, ყველაზე ძვირი ღირსო. მეც სწორედ რუსული შაქარი დამაბარეს, მაგრამ ამდენი დოლარი არ გამოუტანებიათ. შევაჭრება დავაპირე, მაგრამ გაგონებაც არ ისურვეს გუშინწინ ხომ უფრო იაფი ღირდა-მეთქი, ყასიდად ვუთხარი. ხვალ უფრო ძვირი ეღირებაო, შემპირდნენ. საიდან მოგაქვთ მაინც ეს შაქარი-მეთქი, რამდენადმე ინტრიგული კითხვა დავუსვი. საიდანაც მოგვაქვს, იქაც გაძვირდაო, გზა ამიხსნეს. შაქრის ტომრებით სავსე მანქანები იდგა ირგვლივ. ყველას საიდანღაც მოჰქონდა ეს შაქარი, რამდენიც უნდოდათ, და როგორც მოეხასიათებოდათ, იმ ფასად ჰყიდდნენ. საოცარი იყო პირდაპირ, ეს შავტუხა ბიჭები, რომელთაც ამ ცოტა ხნის წინათ კომერციაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ, ასეთ კონკურენციას როგორ უწევდნენ სახელმწიფოს, თავისი მმართველობითი თუ აღმასრულებელი ორგანოებით, პლეხანოვის ინსტიტუტდამთავრებული ეკონომისტებით, საგადასახადო ინსპექციებით, უშიშროების სამსახურით და ა. შ.

ურუსულშაქროდ დავბრუნდი სახლში. ხასიათწამხდარი იმ განზრახვით მივუჯექი საწერ მაგიდას, რომ განათლების მინისტრის სახელზე გასაგზავნ ღია წერილში კიდევ უფრო შემექო სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი და კატეგორიულად მომეთხოვა არდაზიანის ამ ნაწარმოების დაბრუნება სასკოლო პროგრ[illegible]. მაგრამ ამ დროს კალენდარზე შეჩერდა მზერა. ჩემი ყურადღება მიიქცია იმან, რომ დღეს პირველი სექტემბერი იყო, ახალი სასწავლო წლის დაწყების დღე, რომელიც, რაც თავი მახსოვს, ყოველთვის ორგანიზებულად იწყებოდა ჩვენს ქვეყანაში, დღეს კი, დღეს, პირველ სექტემბერს, სწორედ მოსწავლის ასაკის თაობით იყო გადაჭედილი ბირჟაც და ხოფის ბაზარიც! კარგა ხანია, ბავშვებით მოფენილია არა მარტო სავაჭრო ცენტრები, არამედ მთელი ქალაქი, მისი ქუჩები და მოედნები. ისინი ვაჭრობენ ყველაფრით, რისი ხელში დაკავებაც შეიძლება, სიგარეტია ეს თუ საღეჭი რეზინა...

დღეს თუ ზემო აჭარის რომელიმე სოფლის სკოლაში მასწავლებლებს ნახევრადცარიელი ოთახები დახვდათ, იცოდნენ, ისინი აქ არიან, მათი აღსაზრდელები, დღეს უკვე, მეჯლანუაშვილის მემკვიდრეები, რომლებიც დარწმუნებული ვარ, ასეთნაირი ცხოვრებით არც ოჯახს გამოადგებიან, არც სკოლას და არც ქვეყანას.

მე ვგრძნობდი, თუ როგორ მინელდებოდა განათლების მინისტრისათვის ღია წერილის გაგზავნის სურვილი. ამ ბავშვების მოზღვავება ქალაქში ხომ სტიქიურად მოხდა, ფულის შოვნის მიზნით, ისე, რომ წიგნი მეჯლანუაშვილზე არც წაუკითხავთ; შეიძლება — მათ მასწავლებლებსაც. ჩვენმა გაუკუღმართებულმა ყოფამ მიიყვანა ისინი აქამდე. ასეთნაირად ნაშოვი ფული კი მათ სანამდე მიიყვანს, ეს კიდევ, ვინ იცის!

ერთი წუთით წარმოვიდგინე: მე მაინც დავწერე ღია წერილი განათლების მინისტრის სახელზე; იგი გამოქვეყნდა პრესაში; მას მხარი დაუჭირეს და „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი" დაუბრუნდა სკოლას; მეთოდისტებმა შეიმუშავეს ამ ნაწარმოების სწავლების ახლებური კონცეფცია. შემდეგ? შემდეგ მასწავლებლები შეასწავლიან მას ბავშვებს, ალბათ, დღევანდელ საბაზრო ურთიერთობასაც მიმოიხილავენ, შეიძლება საკლასო წერაც ჩაატარონ სოლომონ ისაკიჩზე, როგორც მისაბაძ გმირზე. კიდევ უფრო შემდეგ? კიდევ უფრო შემდეგ შეიძლება მომავალ სასწავლო წელს ის ნახევარი კლასიც აღარ დახვდეს მასწავლებელს პირველ გაკვეთილზე. მეჯლანუაშვილის მემკვიდრეები დღეს თუ მაინც ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ოჯახიდან გაქცეული და სკოლიდან განთესილი, ნორჩ ბიზნესმენთა ახალი ნაკადი უკვე სკოლის, აღმზრდელ-მასწავლებლების ლოცვა-კურთხევით მოეფინება ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს „მალბოროს" ბლოკებით და საღეჭი რეზინის შეკვრებით ხელში.

ძალიან კარგიც იქნებაო, იტყვის ვიღაც, საქმე აკეთონო, აბა, ამდენი ნასწავლი ვის სჭირდება, ყველა ხის ძირში ინსტიტუტს რომ ხსნიანო.

მოდი და ნუ დაეთანხმები! უცხოეთშიც ხომ გვინახავს ამხელა ბიჭები შუქნიშანთან ერთი წუთით შეჩერებულ მანქანებს ყოველი მხრიდან რომ აწყდებიან, მგზავრებს სიგარეტებს, საღეჭ რეზინას, ვალუტის გადახურდავებას, პორნოჟურნალებს რომ სთავაზობენ.

მერე კიდევ, ისიც ხომ შეიძლება, ამ ყმაწვილებს ავადმყოფი დედა, მასზე უმცროსი და-ძმები ელოდებიან სახლში, ლუკმაპურზე ზრუნვამ მიატოვებინა მათ ოჯახი, სკოლა?

რაც მე ვნახე, ბირჟაზე და ხოფის ბაზარში, დავიჯერე, მათ შორის ნიჭიერებიც არიან. აბა უნიჭო კაცი, როგორ შეძლებს, უკარნახოს ხელისუფლებას კომერციის მისეული პირობები, განსაზღვროს ვალუტის მაზანდა, დააკმაყოფილოს მოსახლეობის ყოველდღიური მოთხოვნილება...

ერთხელ როგორღაც გავიხუმრე და, მგონი, პედაგოგებს ვაწყენინე ამით, სკოლაში გატარებული ათი წლიდან წერა-კითხვა ვისწავლე მხოლოდ და კიდევ გამრავლების ტაბულა-მეთქი. მაგრამ გვერდით მერხებზე ისეთებიც ისხდნენ, „ოსმან-აღას თავგადასავალს" ჩემგან რომ იწერდა, შემდეგ კი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების აკადემიკოსი გახდა, მეორეს — უცხო ენის შესწავლის ისეთი ნიჭი აღმოაჩნდა, რომ სკოლის დამთავრებისას გერმანულად თავისუფლად ლაპარაკობდა, მესამე — ვერაფრით ვერ ხსნიდა ერთუცნობიან განტოლებებს, მაგრამ მის თავბრუდამხვევ ფინტებს და გატანილ გოლებს მსოფლიოს სტადიონებზე მილიონობით მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა...

მიეცი ნიჭსა გზა ფართო, გვირჩევს პოეტი. მაგრამ, ვის სცალია დღეს იმის დასადგენად, ამ გზასაცდენილ ყმაწვილთა შორის, ვინ მიწა უნდა ბაროს, ვინ — მეჯლანუაშვილის გზას დაადგეს, ვინ კიდევ — სორბონაში, ატლანტის ან იენის უნივერსიტეტებში ისწავლოს!

მართალია, უცხოეთს ბევრმა ახალგაზრდამ მიაშურა, მაგრამ ისიც საკითხავია, თავიანთი ნიჭის თუ გავლენიანი მშობლების, არამედ ნაშოვნი ფულის წყალობით?

და კიდევ, ვინ იცის, რამდენი ასეთი პასუხგაუცემელი კითხვა და პრობლემა ტრიალებს ჰაერში.

მეც თითქოს მარტივი კითხვით დავიწყე, კვლავ შეიტანონ თუ არა არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი" სასკოლო პროგრამაში და ამასაც ვერ გავეცი პასუხი.

სხვა მიზნით მივუჯექი მაგიდას, მაგრამ სულ სხვა ფიქრები განლაგდა ქაღალდზე. თუ სადმე გამოქვეყნდა, რაც დავწერე, გთხოვთ, განათლების მინისტრისათვის გასაგზავნ ღია წერილად ჩამითვალოთ იგი; უფრო ზევითაც.

ალექსანდრე ჩხაიძე.

ქ. ბათუმი.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

ციდა მატარებელი

— კუუუკუუუ! — მატარებელი
მიჰქრის გრიალ-გრიალით
ზღვაზე მიდის მელია
ლამაზთავსაფრიანი
გვერდით უზის ბროლია
აშაყი და თავნება.
ზღვაზე დასასვენებლად
ფისოც მიემგზავრება.
ზემოთ სხედან ბატი და
შავი იხვი ვახვახა,
ძილით გაგუდულებმა
თვალი ჭუტეს ახლახან
ციდა მატარებელი
მიჰქრის გრიალ-გრიალით.
მელაკუდას აუტყდა
უცებ გულის ფრიალი.
შორს გამოჩნდა გვირაბი,
თუმცა რაღა შორს არის.
ციდა მატარებელი
მიჰქრის, როგორც ფრთოსანი.
კივილით და ქშენითა
ჰა, გვირაბშიც შევიდა.
დგას სიბნელე მზარავი,
ხმას არ იღებს არავინ.
მზესთან ერთად კუპეში
გაქრა თითქოს ხალისიც.
ირგვლივ მხოლოდ—რახ-რახ-რახ!—
[illegible] ხმა ისმის.
მელა ფიქრობს: „ბატს და იხვს
გადმოვსხამდი ზემოდან
და ვერცერთი ცოცხალი
გვირაბს ვერ გასცდებოდა
ეს ოხერი ბროლია
გვერდით რომ არ გვახლდესო.
მერე რა მსუქნებია,
პირი ნერწყვით ამევსო"...
ბროლა ფიქრობს: „ამ კატას
და ამ თავხედ მელიას
ჩემი რისხვის ამბავი
ვატყობ ჯერ არ სმენიათ.

უჰ, ნეტავი კუპეში
მოწმედ სხვებიც არ მყავდეს,
ბნელში კუდებს ორთავეს
დავაჭლეჯდი აქამდეც".

იხვი ფიქრობს: „სიბნელე
მართლაც საშინელია,

მიაუმეტის. როდესაც
ჩვენთან მგზავრობს მელია.
მაგრამ, რადგან ბროლია
კუპეში გვყავს იმედად,
ეს წუწკი და ბოროტი
აბა რას გაგვიბედავს!"

ნერწყვმომდგარი ფისო კი
იხვს ახცქერის ქვემოდან:
გაპუტული რომ იყოს,
იჰ! იჰ! რა იქნებოდა!
ბროლა აქ რომ არ იჯდეს,
გვირაბიდან გასვლამდის,
მაგ პუტკუნა, სულელ იხვს
უცებ გადავსანსლავდი".
ბატი ბატახინი კი
ფიქრობს ხმაგაკმედილი:
„მალე კისერს შავ ზღვაზე
მოვიღერებ ბედივით,
მიწიური საქმისთვის
კაცი როგორ მოცდება"...
შორს, ზეცისკენ წაღლო
ვედად ქცევის ოცნებას...
უცებ ბროლამ დაჰყეფა:
— ჰამ! ჰამ! — ნეტავ რა ხჭირდა?!
და სიბნელე ქურდივით
გაიძურწა ფანჯრიდან.
გრძელ გვირაბში რახრახით
გაძვრა მატარებელი.
ლაღად გაჰყვა ყვავილნარს
მთის კალთებზე შეფენილს.
ამზევებულ კუპეში,
როცა ბროლას ხმა მიწყდა,
მგზავრებს ავი ზრახვები
სულმთლად გადაავიწყდათ.
იმედი და სიკეთე გაჩნდა
გულში იმხელა,
ხამოიწყო სიმღერა.

ფარფატელა

— დელი-დელი, აბა, დელი! —
აღილინდა მაკრატელი.
მზად გვყავს ჩიტი ქაღალდისა
მეცხრე ცაზე ასაფრენი.
— რა მარდია! რა ყოჩაღი!
ფრი, ფრი, ცისკენ! მერი! მერი! —

მართლაც მიჰქრის ფარფატელა,
ჩიტი ბოლომაკრატელა.

მსუბუქია, როგორც სხივი
და ქათქათა ფანტელივით.
უჩვეულო ეინით სავსე
გადაევლო ბაღჩას თავზე,
აუჭროლა, ჩაუჭროლა
ალვებს მწვანედ მოხასხასებს.
— იმ უცნაურ ფრინველს შეხეთ!
რა თეთრია! — უკვირთ მერცხლებს
ლაღად მიჰქრის ფარფატელა
ჩიტი ბოლომაკრატელა.

სართულ-სართულ, ფრთების
ქნევით
თეთრ აივნებს აჰყვა ზევით.
— ჰეი, ჩიტო, გაგიმარჯოს! —
ახძახიან მალხაზები.
— თეთრი ჩიტი! თეთრი ჩიტი! —
ხელს უქნევენ აღტაცებით

ის კი მიჰქრის, ფარფატელა
ჩიტი ბოლომაკრატელა.

— სად იჩქარი, პაწაწინავ? —
ნიავქარი დახვდა წინა.
— ღრუბლებს ზემოთ, მეცხრე
ცაზე.
იქ, ცხრათვალა მზე რომ
ბრწყინავს.
დამეხსენი, ნიავქარო,
ნეტავ ჩემგან რა გეწყინა?!

წინ გავარდა ფარფატელა,
ჩიტი ბოლომაკრატელა.

ნიავქარმა თავს დასძახა:
— ჰეი, ასე ცეტი რად ხარ?!
ვიდრე მეცხრე ცაზე ახვალ,
ავლრუბელი დაგცემს ლახვარს.
რომც ახვიდე მეცხრე ცაზე,
ფერფლად გაქცევს
ცხრათვალა მზე.
დაუბრუნდი მიწას ჩქარა,
ნუ ხარ ასე მეტიჩარა! —

მაინც მიჰქრის ფარფატელა
ჩიტი ბოლომაკრატელა.

ჰა საავდრო ღრუბლის ქულაც,
აბრიალებს თვალებს მტრულად:
— ჩიტს ჩემს ზემოთ რომ
ეფრინოს,
არც თქმულა და არც ნახულა!
შენ ეს როგორ გაიფიქრე,
ავლრუბელას არ სცნობ იქნებ! —
თქვა და შუბლზე კოპი შეყარა,
ბრაზის ცრემლი მოხდის ღვარად.

თითქოს შეკრთა ფარფატელა,
დაბლა იწევს ნელა-ნელა.

სცივა? ასე რად ცახცახებს!
ჩაუქროლა მაღალ სახლებს,
„ხველ მავთულებს, ალვებს,
ჭადრებს
ეს რა გიშრისფერი ადევთ?!"
იცქირება ცისკენ რიდით,
გდია ძირს და ფრთებს ველარ შლის
„თუმცა მზემდე ვერ ავფრინდი,
ხომ ავიჭერ ერთხელ ცაში!"

ინფორმაცია

სესხის რაციონალურად გამოყენების შესახებ

თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის პოზიტიური შედეგების შესაძლო მოკლე ვადაში რეალიზაციის მიზნით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით დაევალა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, საწარმოების და კერძო ბიზნესის მონაწილეობით ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოს თურქეთის რესპუბლიკაში ვადაგადაცილებული სესხების დაფარვის ანგარიშში შესაბამისი პროდუქციის მიწოდების შესაძლებლობის შესწავლა და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტს დაევალათ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან და ექსიმბანკთან ერთად დაფარვის ვადების დადგომამდე ერთი თვით ადრე მოაგვარონ თურქეთის ექსიმბანკთან იმ თითოეული სესხის რესტრუქტურიზაციის საკითხი, რომელთა დაფარვაც ობიექტურად არ არის უზრუნველყოფილი სათანადო წყაროებით; მათვე უნდა მოაწყონ ტენდერი თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ გამოყოფილი ახალი სესხის მაქსიმალურად მაღალეფექტიან ღონისძიებებში დასაბანდებლად, რათა მთელი თანხის — 50 მილიონი ამერიკული დოლარის ათვისება განხორციელდეს 1995 წლის 1 ივლისამდე იმგვარად, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას აღარ დაუდგეს რაიმე ვალდებულება სესხის დაფარვისათვის.

მეტროპოლიტენს დახმარება სჭირდება

როგორც ცნობილია, 15 დეკემბერს თბილისის მეტროპოლიტენის სადგურები დენის მიწოდების შეწყვეტის გამო დაიკეტა. ამასთან თავად სადგურები და გვირაბები საკმაო დროის განმავლობაში დატბორვის ზღვარზე იყვნენ. დღის დამლევისათვის „საქენერგოს“ ხელმძღვანელობა მეტროპოლიტენელებს მტკიცედ შეპირდა, რომ 16 დეკემბერს ისინი უზრუნველყოფდნენ მეტროს რეგულარულ ენერგომომარაგებას. მაგრამ, სამწუხაროდ, იმავე დღეს „საქენერგომ“ კვლავ შეატყობინა მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას, რომ გამორთავდა ელექტროენერგიას. 16 დეკემბერს კი... მეტრო კვლავ გაჩერებული იყო.

განა შეიძლება დავიჯეროთ, რომ „საქენერგოსა“ და „თელასს“, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ, არ შეუძლიათ უზრუნველყონ დედაქალაქის მეტროპოლიტენი საჭირო 20,2 მეგავატი ელექტროენერგიით? ეს ხომ, ფაქტობრივად, ნიშნავს არა მარტო მატარებლების მიმოსვლისა და მგზავრთა მომსახურების შეწყვეტას, არამედ, რაც მთავარია, იმას, რომ მწყობრიდან გამოდის ტექნოლოგიური მოწყობილობა, არსებითად მცირდება მოძრავი შემადგენლობის საიმედოობა. ყოველივე ამას ერთად შეიძლება მოჰყვეს თუ არა კატასტროფა, მეტროს ხანგრძლივი დროით მუშაობის შეწყვეტა მაინც.

ყოველივე ეს საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს აცნობა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსმა გურამ გაბუნიამ.

რექტორთა საბჭოს სხდომა

გაიმართა საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს სხდომა. რექტორები შეხვდნენ რესპუბლიკის პარლამენტის განათლების კომისიის თავმჯდომარეს რაულ ჭუპრავას. კონსტრუქციულ საუბარში გამოიკვეთა ის მოთხოვნები, რაც დაკავშირებულია უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და და თანამშრომელთა მძიმე სოციალურ ვითარებასთან. აღინიშნა, რომ ეს მოთხოვნები კარგა ხანია წარედგინა მინისტრთა კაბინეტს, მაგრამ ჯერჯერობით ისინი უპასუხოდაა დარჩენილი. არ სრულდება მინისტრთა კაბინეტის დადგენილება უმაღლესი სასწავლებლების დაბეგვრისაგან განთავისუფლების შესახებ.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

მეტ მოვლასა და პატრონობას საჭიროებს

„რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი“... ჭიათურელ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს პოეტის ამ სიტყვებით შეხვდნენ მღვიმევის დედათა მონასტრის მეცნიერ-მუშაკები. შინაარსიანი მიმოხილვა რომ გააკეთეს საცნობარო მასალებისა, რომლითაც უძველესი ცოდნის კერაში სამი მოზრდილი სტენდი შეადგინეს.

მაცხოვრის სახელობის მონასტერს სწავლულები მე-13 საუკუნით ათარიღებენ. ამ უნიკალურ შენობას ჰქონდა სამრეკლო, რომელიც ახლა გაუქმებულია და იქვე აგებულია ახალი, მე-18 საუკუნით დათარიღებული სამრეკლო.

ხის ფართო აივნით შევდივართ მონასტერში, რომლის შენობაც ორნავიანია, და თაღებით ორ ნაწილადაა გაყოფილი.

ძეგლის ყველა სარტყელი და კამარები შესანიშნავი გეომეტრიული ორნამენტებითაა დამშვენებული. იქვე მახლობლად დასავლეთის მხრიდან მცირე ეკლესიაა, რომლის აღმოსავლეთ ფასადის სარკმელს ორნამენტები ამკობს. მთავარი ეკლესია შიგნით მთლიანად დაფარული ყოფილა ფრესკებით, რომლებზედაც გამოსახულია არა მარტო საერო პირები, არამედ ძეგლის აღმშენებლებიც.

მკვლევართა აზრით, ჩრდილოეთის კედელზე შემორჩენილია ფრესკის ნაწილები, რომელზედაც გამოსახული ყოფილა ნიანია კახაბერიძე. მისი მეუღლე რუსუდანი და ეკლესიის აღმშენებელი რატი.

ნიანია და კახაბერი შვილები უნდა იყვნენ მეცამეტე საუკუნის პოლიტიკოსი მოღვაწის კახაბერ კახაბერიძისა, რომელიც საბოლოოდ გაძევებული იქნა საქართველოდან.

მღვიმევის დედათა მონასტრის სახელთან დაკავშირებულია აგრეთვე სახელი ერთი ღვთისმშობლისა და ერთი იოანე ნათლისმცემლისა. აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი აღნიშნავდა, რომ საერისთაოში არსებობდა ოქრომჭედლობის სკოლა, რომელსაც თავისი საუკეთესო სტილი და ტექნიკური ხერხები ახასიათებდა.

ისტორიული ძეგლის მეცნიერ-მუშაკები და ჩვენი გმირული წარსულით დაინტერესებული ჭიათურელი მშრომელები აღნიშნავენ, რომ მღვიმევის მონასტერს მეტ მოვლა-პატრონობას საჭიროებს.

ბედისანაბარად მიტოვებული მგზავრები

მგზავრთა მომსახურების საწარმო „ექსპრესი“ — ამ დღეებში ასეთმა აბრამ „დაამშვენა“ თბილისის რკინიგზის საკვანძო სადგურის ერთი პაწაწინა ჯიხური, რომელიც მე-3 ავტოსატრანსპორტო საწარმოს ბაზაზე შეიქმნა. როგორც მისმა თავკაცმა მ. ჯალაბაძემ გვითხრა, „ექსპრესი“ მოწოდებულია ყველაფერი იღონოს სახალხო-სამეურნეო ტვირთის უსწრაფესად გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის დაჩქარებისათვის.

რკინიგზის ტრანსპორტის ვეტერანთა ნააზრევს თუ გავაანალიზებთ, იმ სახსრებითა და საწარმოო საშუალებებით, „ექსპრესს“ რომ აბადია, საეჭვოა აგებული იქნეს თანამედროვე ტექნიკით სრულად აღჭურვილი ისეთი საწარმო, რომელიც სურსათ-სანოვაგით დატვირთულ ავტომობილებს სწრაფად მიაწოდებს საავიაციო ქარხანას, ქაღალდის ფაბრიკას, ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანს“ და სხვა რეგიონებს.

ეს იმითაც დასტურდება, რომ „ექსპრესის“ თავკაცთა მტკიცება, თითქოს არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საწარმოს ჰქონდეს დედათა და ბავშვთა დასასვენებელი ოთახები, ხელბარგის შესანახი საკანი, ნაგებობანი ტრანზიტად მიმავალი მგზავრებისათვის, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და მისი დანერგვა ვერაფერ სასიკეთოს ვერ შემატებს ფოლადის მაგისტრალების მუშაობის ახლებურად წარმართვის საქმეს.

ხსოვნა

აკაკი გაწერელია

თანამედროვე ქართულმა ეროვნულმა კულტურამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი და მეცნიერი აკაკი კონსტანტინეს ძე გაწერელია (დაიბადა 1904 წლის 7 აპრილს, ფოთში).

ექვსი ათეული წლის მანძილზე აკაკი გაწერელია ამშვენებდა ქართულ მწერლობას, ჩვენს ლიტერატურულ-ესთეტიკურ აზროვნებას, მეცნიერებას და სახელოვნად იღვწოდა მშობლიური კულტურის სადიდებლად. მაღალი მხატვრული ნიჭიერებისა და მრავალმხრივი ერუდიციის მქონე შემოქმედმა, მან ფართო კვალი გაავლო ქართულ მეცნიერებასა და მწერლობაში.

ჭეშმარიტად ფართო იყო აკაკი გაწერელიას თვალსაწიერი, მისი შემოქმედებითი ინტერესების სფერო. ქართული ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა, კრიტიკა, ესეისტიკა, ბელეტრისტიკა, ესთეტიკა, ფილოსოფია — აი, ის დარგები, რომლებსაც ერთნაირი სიყვარულით და ძალმოსილებით ემსახურებოდა იგი. მისი მონოგრაფიები, ისტორიული და ლიტერატურული ძიებანი, ზოგადთეორიული ნარკვევები, პორტრეტები და ეტიუდები, ესეები და წერილები შუქს ჰფენენ ქართული მწერლობის ძველ, ახალ და თანამედროვე ეტაპებს, ანტიკური სამყაროს, შუა საუკუნეების და თანამედროვე ევროპული ლიტერატურის რთულ საკითხებს, მხატვრულ აზროვნებას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აკაკი გაწერელიას მონოგრაფიები გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ, რომლებიც ქართული რომანტიზმის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით ფუძემდებლური შრომებია. უაღრესად მნიშვნელოვანია გამოკვლევა „ვაჟა-ფშაველა“, რომელიც პირველი სპეციალური შრომაა მითოსისადმი ვაჟას დამოკიდებულებას რომ ეძღვნება. ბოლო ვრცელი ნარკვევი „დავით კლდიაშვილი“, ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი პროზაიკოსის შემოქმედების ბევრ ისეთ პლასტს წარმოაჩენს, რომლის გაუთვალისწინებლად ძალზე გაჭირდებოდა მის მხატვრულ სამყაროში შეღწევა. 1936-1937 წლებში გამოცემული გრიგოლ ორბელიანის „წერილების“ ორტომეული დღემდე რჩება ჩვენში ეპისტოლარული მემკვიდრეობის გამოცემის სამაგალითო ნიმუშად.

აკაკი გაწერელიამ მრავალი წელი შეალია ქართული ვერსიფიკაციის ურთულესი პრობლემების შესწავლასა და გაშუქებას და ამავე დროს ბელეტრისტის ნიჭითაც გამოირჩეოდა. იგი, XIX საუკუნის კავკასიური ომების უბადლო მცოდნე, მთელი სიცოცხლის მანძილზე გატაცებით მუშაობდა ფართო, მრავალპლანიან ეპოპეაზე, რომელიც შამილს ეძღვნება. მისივე კალამს ეკუთვნოდა უბრწყინვალესი მოთხრობა „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“, რომელიც 1924 წლის სისხლიან ამბებს ასახავს. მოთხრობა სალიტერატურო კრიტიკამ შედევრად აღიარა.

სიცოცხლის მიწურულს პროფესორმა აკაკი გაწერელიამ დაასრულა ვრცელი, ძალზე მნიშვნელოვანი გამოკვლევა ნეტარი ავგუსტინეს პიროვნებასა და შემოქმედებაზე, რომელიც გამოქვეყნებას ელოდება.

ქართველ მწერლებს დიდხანს, ძალიან დიდხანს ემახსოვრებათ აკაკი გაწერელია, დიდი ქართველი მეცნიერი, ჩინებული მწერალი, ღირსეული მამულიშვილი თავისი ქვეყნისა..

საქართველოს მწერალთა კავშირი.

ისეთ ხუმრობას რა ჯობს ...

ვიფიქროთ თუ ფული ვაკეთოთ?

სიმართლე გითხრათ, დიდად გაკვირვებული დავრჩი, როცა ჩვენი საერთო ნაცნობი, ბიზნესმენი ვანო ოქროწონაშვილი ქვეყნის სამართავი პულტიდან — პარლამენტიდან გამოსული დავინახე.

— ბატონო ვანო, პარლამენტში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად ხომ არ აგირჩიეს? — ვკითხე და პასუხის მოლოდინში თვალებში შევაცქერდი.

— არა, თქვა მან მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით, — ექსპერტ-კონსულტანტად მომიწვიეს.

— აკი ეგენი საზღვარგარეთული რეკომენდაციებით მუშაობდნენ?

— საქმეც მაგაშია. — საზღვარგარეთული არ გამოგვადგა და ახლა შენი რეკომენდაციებით გვინდა ვიმუშაოთო.

— კარგად მოუფიქრებიათ. თქვენნაირი გონიერი ბიზნესმენის რჩევა-დარიგებით თუ იარეს, შეიძლება სულ მალე ქვეყანა გასაჭირიდანაც გამოვიდეს.

— მეც ეგ გავიფიქრე და ამიტომაც დავთანხმდი.

— საინტერესოა, თქვენი საქმიანობიდან მაინც რა მოეწონათ?

— მუშაობის სტილი. ხომ ხედავთ, არასოდეს თათბირი და სხდომა არ ჩამიტარებია და მაინც ცხოვრებ-ქონება გადმომდის. ეგენი ერთთავად სხდომა-დებატებით არიან გართული და მაინც ვერაფერს ქმნიან, ქვეყანაც დაამშიეს და თვითონაც მშივრები იხოცებიან.

— თქვენ რას უშველით?

— საქმეს მივაჩვევ. დავარწმუნებ, რომ ნამდვილი საქმე ფულის კეთებაშია და არა დებატებში.

— მართალი ბრძანდებით. ქვეყანა ლაპარაკმა წალეკა, რეალური საქმე კი ჯერაც არ გამოჩენილა.

— მეც მანდა მტკივა.

— ეგეც არ იყოს, გაუთავებელი დებატები ხშირად პირად შეურაცხყოფაშიც გადადის. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამას წინათ ერთმა დეპუტატმა მეორეს ღორების ქურდობაც კი დააბრალა. თუმცა, სხვამ გაამართლა — მაგას საბჭოთა ღორები ჰყავს მოპარული და ქურდობად არ ჩაეთვლებაო.

— მართალი უთქვამს, ეგ ქურდობაში არ ითვლება.

— რატომ?

— არ მოუპარავს და იმიტომ. ეტყობა, აქტიური კაცი იყო, ხელფასს არ დაუწყო ყურება და ბიზნესი (მაშინ ჩრდილოვან ეკონომიკად მონათლული) წამოიწყო. რომ იცოდეთ, სწორედ იმ ბიზნესმა დაანგრია კომუნისტური რეჟიმი და არა მიტინგებმა.

— აბა, მიტინგებს არაფერი გაუკეთებია?

— როგორ არა, თუ რამ ცხოვრება გვქონდა, ისიც ხელიდან გამოგვაცალა.

— დღეს ხელფასს აღარავინ უყურებს (რას მოგვცემს, თორემ კი!), გამოდის, რომ ეს კარგის მაუწყებელია?

— რა თქმა უნდა. ეს დღევანდელი წყობისა და ხელისუფლების ყველაზე დიდი მონაპოვარია (კომუნისტებს ხელფასით ხალხი მონად ჰყავდათ გადაქცეული). დღეს ხელფასის ანაბარად აღარავინ დარჩა (თვით პარლამენტარებიც კი), ყველა რაღაცას ჩალიჩობს, ყველა რაღაც ბიზნესით ირჩენს თავს.

— მე მგონი, ბიზნესმა პარლამენტშიც შეაღწია?!

— როგორ არა. პარლამენტარებს, სხდომაზე რომ არ დააგვიანდეთ, ავტომანქანისათვის საწვავს აძლევენ. ამას ზოგი, როგორც მითხრეს, სესიაზე დასასწრებად კი არა (ხშირად კვორუმი არ დგება), მცირე ბიზნესის საკეთებლად იყენებს. ეს მისასალმებელია.

— და თქვენ იმედი გაქვთ, რომ დიდ ბიზნესს ასწავლით?

— რატომაც არა. როგორც ვიცი, ზოგს საამისოდ დიდი თანხაც აქვს, მაგრამ ვერ იყენებს, არ იცის, სად და რაში დააბანდოს. წარმოიდგინეთ, ზოგი იმასაც კი ცდილობს, ამ თანხით ლაშქარი შეკრიბოს და აფხაზეთი დაგვიბრუნოს.

— მერე და ამაში ცუდს რას ხედავთ?

— არაფერს, მაგრამ ეს არ არის ბიზნესმენის გზა. ნამდვილი ბიზნესმენი ამ ფულს დიდ საქმეში დააბანდებს, ჯერ მილიონებს, შემდეგ მილიარდებს გააკეთებს და აფხაზეთს ფულით დაიბრუნებს.

— ამას ხომ დრო სჭირდება?

— სამაგიეროდ დაბრუნება რეალური იქნება. დღეს მუქარითა და ომით თუ არ დაკარგავ (უკვე ბევრი დავკარგეთ), ვერაფერს მოიგებ. სხვათა შორის გერმანიამაც კი ერთ დროს დაკარგული ტერიტორია ფულით დაიბრუნა (იყიდა) და არა ლაშქრობით.

— მაშ, ბიზნესის იმედი გაქვთ?

— რა თქმა უნდა. ქვეყანას ბიზნესი გამოიყვანს ჩიხიდან და არა საპარლამენტო დებატები.

— ალბათ, ეს განჭვრიტა ერთმა მკითხავმა ქალმა, როცა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა: ჩვენ დავაღწევთ თავს სიღატაკეს, მალე ისე გავმდიდრდებით, რომ ქუჩებში მარმარილოს დავაგებთო.

— მე უკვე დავაგე ჩემს ეზოში. ეს წყობილება ფულის საკეთებლად არის მოგონილი. თუ ალღოიანად მოვიქცევით, მალე იმდენ ფულს დავაგროვებთ, მარმარილოს მარტო ქუჩებში კი არა, სტადიონებზეც დავაგებთ.

— ეს სამომავლოდ, მაგრამ დღეს რომ სამყოფად სინათლე, წყალი და პურიც კი არა გვაქვს?

— ამის თაობაზე უკვე მივეცი რჩევა მთავრობას (პარალელურად მასაც ვკურირებ), უფრო სწორად, ჩვენი ცნობილი გამომგონებლის არსენ წიკლაურის წინადადება გადავეცი. სხვათა შორის, მან ერთი ეგზემპლარი გაზეთში გამოსაქვეყნებლადაც გამომატანა.

წერილი გამოვართვი და სულმოუთქმელად ჩავიკითხე.

მე მაღლივი შენობის მეშვიდე სართულზე ვცხოვრობ, იწერება ბატონი არსენი, როცა სინათლე გამოირთვება, ოთახებში ძალიან ბნელა (ნავთი ძვირია და ბევრს ლამფაც არ გვინთია), ამ დროს კი ჩვენი სახლის წინ მდებარე ქარხნის ტერიტორია ყოველთვის გაჩირაღდნებულია. ამას წინათ ვიღაც მადლიანმა ნათურას პლაფონი ახსნა და პროჟექტორად გადააკეთა. წარმოიდგინეთ, ამან ისე გაანათა ჩვენი შენობის ბინები, რომ წიგნის წაკითხვაც კი შევძელი. ჩემი წინადადებაა, ასეთი ნათურები ქალაქის სხვა ადგილებშიც პროჟექტორებად გადავაკეთოთ და მივანათოთ მაღლივ შენობებს, ქუჩებს, ჩაბნელებულ ტერიტორიებს. ეს არავითარ დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს, ათასობით ოჯახის ბინებს კი გაანათებს.

— ესეც ეგრე, ვთქვი მე, ბინების განათების პრობლემა ერთი ხელის მოსმით მოვიცილეთ, მაგრამ პურსა და წყალს რაღა ვუშველოთ?

— როგორ ვერ მიხვდით, წარბების აწკურვით მითხრა ბიზნესმენმა, თუ ბინების განათებაზე ამდენ ეკონომიას გავაკეთებთ, ელექტროენერგია პურის საცხობად და წყალმოსამარაგებლადაც გვეყოფა და გასაყიდადაც დაგვრჩება.

ბიზნესმენის მსჯელობა იმდენად ლოგიკური მეჩვენა, რომ შედავებას გაჩუმება ვამჯობინე.

ოთარ ხუციშვილი.

ვულოცავთ!

მაია ჩიბურდანიძე

ნანა იოსელიანი

ქეთევან არახამია

ნინო გურიელი

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები მსოფლიო ოლიმპიადის ჩემპიონია!

საახალწლოდ მშვენიერი საჩუქარი უძღვნეს სამშობლოსა და გულშემატკივრებს ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა. ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა მაია ჩიბურდანიძის, ნანა იოსელიანის, ქეთევან არახამიასა და ნინო გურიელის შემადგენლობით (გუნდის კაპიტანი — ნანა ალექსანდრია) მოსკოვში ზედიზედ მეორედ მოიპოვა მსოფლიოს ოლიმპიადის ჩემპიონობა.

ვულოცავთ!

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა საპატიო მერვე ადგილი დაიკავა.

გამარჯვება სტუმრად

წარმატებით დასრულა სეზონი საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა. ჩვენმა გუნდმა ტირანაში ევროპის ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩის მძაფრ ბრძოლაში მოუგო ალბანეთის გუნდს — 1:0 (გოლი მე-20 წუთზე შოთა არველაძემ გაიტანა) და 6 ქულით თავის ქვეჯგუფში ჯერჯერობით მესამე საფეხური უკავია. იმავე დღეს ლიდერებმა — ბულგარეთისა და გერმანიის კოლექტივებმა სტუმრად ერთნაირი ანგარიშით — 3:0 სძლიეს შესაბამისად უელსისა და მოლდოვას ნაკრებებს.

საქართველო უნდა გათავისუფლდეს ამ სენისგან

გია ჭანტურია გულით წუხდა სამშობლოს ხვედრზე. შეშფოთებული იყო ქვეყანაში შექმნილი განუკითხაობით. ყაჩაღ-მძარცველთა თარეშით და აქტიურად უჭერდა მხარს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მის მინისტრს ბატონ შოთა კვირაიას დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამიტომ, სამართლიანი და ობიექტურია რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადების თეზა — „ვიღებთ პასუხისმგებლობას და განვიცდით სინდისის ქენჯნას იმის გამო, რომ თავიდან ვერ ავიცილეთ უმძიმესი დანაშაული; ერმა დაკარგა თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი აქტიური მხარდამჭერი და თანამდგომი წესრიგისა და კანონიერების აღდგენის საქმეში“.

განცხადებაში შემდგომ ნათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი კატეგორიის დანაშაულობების გამოძიება სამინისტროს უშუალო კომპეტენცია არ არის, გვინდა სჯეროდეს საზოგადოებას, გია ჭანტურიას ჭირისუფლებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს და სხვა ტერორისტული აქტების გასახსნელად.

მუშაობა ამ მიმართულებით არ შენელდება.

ქვეყანაში შექმნილი უიმედო განწყობილების გათვალისწინებით, არა თავის გასამართლებლად, არამედ ინფორმაციული ვაკუუმის შესავსებად, შეიძლება გამოძიებისათვის საზიანოდაც, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ფარდა ავხადოთ ერთ-ერთი ყველაზე მობილური დამნაშავეთა ჯგუფის საქმიანობას, რომელიც სხვადასხვა უმძიმეს სისხლის სამართლის დანაშაულთან ერთად, შეკვეთით მკვლელობებსაც ასრულებდა. ამ ჯგუფის დასადგენად მუშაობის დაწყების საფუძველი გურჯაანის რაიონში მცხოვრები იმერლიშვილების ოჯახისა და გალელი ძმების სოსო და გოჩა მაქაცარიების უგზო-უკვლოდ დაკარგვის ფაქტები გახდა. ახლა დადგენილია, რომ ამ ბანდიტურმა ჯგუფმა საქართველოსა და რუსეთის რესპუბლიკების ტერიტორიაზე 22 მკვლელობა ჩაიდინა, მათ შორის, გურჯაანის რაიონში მცხოვრები იმერლიშვილების ოჯახის ხუთი წევრისა“.

ქალბატონი ანეტა 73 წლისა იყო, ქალბატონი ლამარა — 62-ის, ბატონი გივი — 64-ის, ბატონი გია — 34-ის, ბატონი ვასილი კი — 40-ის; ეს უკანასკნელი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ვიცე-პოლკოვნიკი იყო.

მოკლეს აგრეთვე მათი მეზობელი 30 წლის მიხეილ ყანჩაშვილი, სოსო და გოჩა მაქაცარიები.

მოსკოვში, ერთ-ერთ ბინაში არაკაცებმა ვიღაც ლვოველი მოქალაქეც გაისტუმრეს საიქიოს.

აღსანიშნავია, რომ მკვლელობები განსაკუთრებული სისასტიკით სრულდებოდა. გვამებს აღენიშნება საკონტროლო გასროლა თავის არეში... მოჭრილ თავსა და ტანს ცალ-ცალკე მარხავდნენ. ახლა, გვამების ნაწილი დაუბრუნდათ ჭირისუფლებს.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ამ და სხვა დანაშაულობების ჩადენაში მხილებული და დაკავებული არიან: ბერძენიშვილი, იგივე ზეორიკინა მადლენა, პავლეს ასული, ის 45 წლისაა; ცხოვრობდა გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანში და ქალაქ მოსკოვში: ადრე ნასამართლევია: იყო ფირმა „სვიატოი გეორგის“ გენერალური დირექტორი.

სწორედ ის არის ამ ჯგუფის ჩამომყალიბებელი და ხელმძღვანელი.

რომინი, იგივე მათიაშვილი ალექსანდრე ვლადიმირის ძე. ის კალინინის ოლქის ქალაქ ზავილოვში ცხოვრობდა. 41 წლისაა, ადრე ორჯერ ნასამართლევია.

ფოკინი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე 30 წლისაა. მოსკოვში ცხოვრობდა. ისიც ნასამართლევია.

ვერკესტი, იგივე გელბახიანი მიხეილ ბორისის ძე ქალაქ სოხუმის მკვიდრია. ის 30 წლისაა.

შოთია გაბრიელის ძე ოჩამჩირელია; 31 წლის ასაკში სამჯერ მოასწრო ციხეში ყოფნა.

30 წლის გოჩა გაფრინდაშვილი, 26 წლის ალექსი ოქრუაშვილი და 28 წლის გიორგი დოლენჯაშვილი გურჯაანელები არიან.

იმისათვის, რომ თავისუფლად ეთარეშათ, მძარცველებმა დაქირავებულ მკვლელებს გამოგონილი გვარებით შეურჩიეს, სათანადო დოკუმენტებიც გაუმზადეს.

ბანდიტური ჯგუფის წევრებს ჩამოერთვათ უამრავი სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, გატაცებული ავტომანქანები და ნაქურდალი ნივთები, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა სამთავრობო სტრუქტურების მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

მკვლელობის მოტივი, ძირითადად, ანგარება და შეკვეთა იყო.

ისინი ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებდნენ.

„არსებობს რეალური მასალები ამ ჯგუფის ხელით საქართველოში ჩადენილი რამდენიმე ტერორისტული აქტის შესახებ, — აღნიშნულია განცხადებაში. — **ამ ეტაპზე, მეტის თქმის უფლება არა გვაქვს.** ვიტყვით მხოლოდ ერთს: განხორციელდა ურთულესი სამუშაო, რაშიც დიდ დახმარებას გვიწევს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო. თანამშრომლობის შეთანხმება სახელმწიფოების მეთაურებს ბატონებს ედუარდ შევარდნაძესა და ბორის ელცინს შორის დაიდო. საქმის წარმართვა შინაგან საქმეთა მინისტრებს, ბატონებს შ. კვირაიასა და ვ. ერინს დაევალათ.

დაგვეთანხმებით, რომ ასეთი ორგანიზებული და სისასტიკით გამორჩეული დამნაშავეთა ჯგუფების გამოვლენა გარკვეულ დროსა და დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. სხვა ხელისშემშლელი პირობებიც არის; მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ უღალატებს აღებულ კურსს, ბრძოლა დაუნდობელი და შეურიგებელი იქნება. დარწმუნებული ვართ, უახლოეს ხანში, გამოვააშკარავებთ ტერორისტთა ხელით დაღუპული ბატონების **გია ხვანაძის, ზაზა ვეფხვაძის, გია ბულუას, მიხეილ ქურდაძის, ნიკოლოზ კეკელიძისა და გია ჭანტურიას** მკვლელობების შემკვეთებს და შემსრულებლებს.

საქართველო უნდა განთავისუფლდეს ამ სენისაგან“.

ამ გაუგონარი ტერორისტული აქტის, უმძიმესი დანაშაულის, გახსნისა და დამნაშავეთა დადგენა-დაკავებისათვის, წლეულს, 3 დეკემბერს, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტ შოთა კვირაიას ბრძანებით, შეიქმნა ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფი, რომელშიც მინისტრის ყველა მოადგილე და სამმართველოების უფროსები შევიდნენ.

ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფმა უშიშროების სამინისტროსა და პროკურატურის ანალოგიურ ჯგუფებთან მჭიდრო კონტაქტში უნდა იმუშაოს...

ზაურ მაკარაძე.

გამოსათხოვარი

ინდივიდუალობა — თანდაყოლილი ე. ი. ბოძებული, და არა შეძენილი ე. ი. ხელოვნური, — ჩემთვის პირადად ეს იყო აკაკი გაწერელიას, როგორც ფიგურის, უმთავრესი ნიშანი. მაშინაც, როდესაც იგი ლიტერატურის ისტორიკოსი იყო. მაშინაც, როდესაც ლიტერატურათმცოდნე იყო. მაშინაც, როდესაც გამომცემელი და კომენტატორი იყო. მაშინაც, როდესაც ესეისტი და ბელეტრისტი იყო.

მაშინ, როდესაც მეცნიერი იყო, იგი ხელოვანი იყო. როდესაც ხელოვანი იყო, იგი მეცნიერი იყო.

რუსთაველი და დანტე, ავგუსტინე და სულხან-საბა, სტენდალი და პოლ ვალერი, შამილი და ტოლსტოი, გურამიშვილი და ბარათაშვილი, ტინიანოვი და გრიგოლ წერეთელი... საოცარ სამყაროთა წიაღში შეღწევა იყო მისი მიზანი, და ეს კეთდებოდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც — თუნდაც ბრძნული სიტყვად თუ ნაწერად გადმოღვრილიყო სხვისთვის, არამედ იმიტომაც, რომ თვითონ და თავისთვის ეარსება ამ სამყაროთა მუდმივი განცდით და ეცხოვრა, ეცხოვრა ისე, როგორც თვითონ უნდოდა, და არა ისე, როგორც საჭირო იყო მოცემულ გარემოში.

ჩვენ ჯერ მხოლოდ პირველი აღქმა გვაქვს. მოვა დრო და შორიდან, პერსპექტივაში, უფრო სრულყოფილად დავინახავთ ამ ფიგურას.

...წავიდა რაღაცნაირად მოულოდნელად, თითქოს ჩუმადაც, ყოველ შემთხვევაში — თავდატეხილი საყოველთაო გასაჭირისა და უბედურების ფონზე. ჩვენ ისე ვართ დღეს თავგზააბნეულები და კონტაქტებდაკარგულები, რომ ბევრმა — მათ შორის ამ სტრიქონების ავტორმა — მხოლოდ გაზეთის მეოთხე გვერდიდან, გვიან, შევიტყვეთ მასწავლებლის სიკვდილი.

აპოლონ სილაგაძე.

საქართველოს მწერალთა კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ლადო ასათიანის მეუღლე

ანიკო ვაჩნაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ენისა და ლიტერატურის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 83 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შოთა ვარლამის ძე ძიძიგური

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მწერალთა კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და მწერალი

შოთა ძიძიგური

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კომისიის დამაარსებელი და თავმჯდომარე აკადემიკოსი

შოთა ძიძიგური

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფირმა «PrintShop»
თბილისი.
ვირსალაძის ქ. 8
ტელ.: 998696,
997712.



უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დავამზადებთ უმაღლესი ხარისხის ბეჭდებსა და შტამპებს
სავიზიტო ბარათებს, ბლანკებსა
და ფასიან ქაღალდებს
PS L.T.D

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.